

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სალომე მაჭარაშვილი



პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა

მიმღები ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე

სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესი

ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ასოცირებული პროფესორი: თეიმურაზ შენგელია

თბილისი
2020

ანოტაცია

ეკონომიკურმა მეცნიერებამ დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ მხოლოდ ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით ვერცერთი განვითარებადი ქვეყანა ვერ შეძლებს ცხოვრების დონის სწრაფ გაუმჯობესებას. ეკონომიკური განვითარების საგარეო ფაქტორებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი).

პუი არის მძლავრი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას. თუმცა, ასევე შესაძლებელია ნეგატიური გავლენის არსებობა. ყოველივე ეს, დამოკიდებულია ქვეყანაში გატარებულ სავაჭრო პოლიტიკასა და იმ პოლიტიკაზე, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციის განვითარებას და აიძულებს პუის შეიტანოს დადებითი წვლილი ქვეყნის საგარეო სექტორის განვითარებაში.

პუი არის რეალურად მომუშავე ფინანსური დაბანდებები, რომლის მოზიდვაც ქვეყნის განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფაქტორია. მისი მოდინება დაკავშირებულია ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსა და პუის მოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან, რაც გულისხმობს მაღალშემოსავლიანი პროექტების არსებობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სტაბილურობას და საინვესტიციო კლიმატის ცვლილებების პროგნოზირებას.

Annotation

Economic science proved convincingly, that no developing country has a chance to improve its standard of living only using local resources. Foreign Direct Investment has a special place among development foreign economic factors.

Foreign Direct Investment is a powerful mechanism, which provides economical growth. Though, it may cause a negative influence. And all of this depends on country's trade politics, which ensures free competition and makes FDI to take part into developing foreign sector.

FDI flow, which means in reality active financial investments, is very important factor for country prosperity. Its streaming is always getting into contact with favourable investing

environment and creating advantageous conditions, which implies high paying projects, political, economic stability and its climate changing prognosis.

შინაარსი

შესავალი.....	5
თავი I. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და თეორიები.	
1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და ძირითადი მახასიათებლები.....	8
1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიები.....	19
თავი II. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.	
2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში.....	28
2.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა.....	37
თავი III. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენების გაუმჯობესების გზები საქართველოში.	
3.1. სახელმწიფოს როლი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში.....	46
3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებანი საქართველოში.....	52
დასკვნა.....	57
გამოყენებული ლიტერატურა.....	60

შესავალი

თემის აქტუალობა. ეკონომიკურმა მეცნიერებამ ჯერ კიდევ 60-იან წლებში დაამტკიცა, რომ მხოლოდ ადგილობრივ რესურსებზე დაყრდნობით ვერცერთი განვითარებადი ქვეყანა ვერ შეძლებს ცხოვრების დონის სწრაფ გაუმჯობესებას. ეკონომიკური განვითარების საგარეო ფაქტორებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს (პუი).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რომელიც რეალურად მომუშავე ფინანსურ დაბანდებებს წარმოადგენს, არასაკმარისი პარამეტრებით მიმდინარეობს. მისი მოდინება დაკავშირებულია ნორმალურ საინვესტიციო გარემოსა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნასთან, რაც გულისხმობს მაღალშემოსავლიანი პროექტების არსებობას, პოლიტიკურ, ეკონომიკურ სტაბილურობას და საინვესტიციო კლიმატის ცვლილებების პროგნოზირებას.

როდესაც ქვეყნის საწარმოო ინფრასტრუქტურა პარალიზებულია, მოძველებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების პირობებში, კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად სწორედ უცხოური ინვესტიციებია საჭირო. თუმცა, ქვეყნის სამეწარმეო საქმიანობაში ხშირად დაბალი იმიჯის და საექვო რეპუტაციის მქონე ფირმები, კომპანიები და ფიზიკური პირები აბანდებენ ინვესტიციებს, რაც პერსპექტივაში ქვეყნისათვის შესაძლოა საზიანოც გამოდგეს. ამ სფეროში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრა ქვეყნის განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია და ყოველივე ეს ეკონომიკურ მეცნიერებისაგან მრავალმხრივ ანალიზს მოითხოვს. ამიტომ, დღეს საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში მეტად აქტუალურია უცხოური ინვესტიციების მართვის და მათი ეროვნულ ეკონომიკაში განთავსების შესაფერისი პოლიტიკის შერჩევა.

საქართველოს ხელისუფლების მიერ იდმება ბევრი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, იმისათვის, რომ ქვეყანაში ბიზნეს გარემო უკეთესობისკენ შეიცვალოს. საგადასახადო კოდექსით შემცირდა გადასახადების განაკვეთები და ოდენობა, გამარტივდა საბაჟო

პროცედურები და შემცირდა ექსპორტ-იმპორტის სატარიფო განაკვეთები, აღნიშნული ახდენს საგარეო ვაჭრობის გამარტივებას. გამარტივდა ბიზნესის რეგისტრაცია, ამოქმედდა გაკოტრების კანონი, ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად გაფორმდა ორმხრივი ხელშეკრულებები 26 ქვეყანასთან, შეიქმნა ასევე „ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“ და სხვა ბევრი ცვლილება განხორციელდა, რამაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოსვლას შეუწყო ხელი. ამგვარი ლიბერალიზაცია განხორციელდა აგრეთვე შემდეგ სფეროებში: ნებართვების, ლიცენზირების და შრომის რეგულირების სფეროებში. მათგან უმრავლესში, უფრო მეტად კი შრომის რეგულირების და სავაჭრო რეჟიმის სფეროებში, საქართველოს დღესდღეობით აქვს ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია.

კვლევის მიზანი და ამოცანები. ნაშრომის ძირითადი მიზანია ქვეყნის ეროვნული ინტერესების შესაბამისი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა-განთავსების ძირითადი მიმართულებების გამოვლენა.

ძირითადი მიზნიდან გამომდინარე ნაშრომი კონცენტრირებულია შემდეგ ამოცანებზე:

1. უცხოური ინვესტიციების არსისა და ძირითადი მახასიათებლების შესწავლა
2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების შესწავლა;
3. საქართველოს ეკონომიკაზე უცხოური ინვესტიციების გავლენის შეფასება;

კვლევის საგანი და ობიექტი. ნაშრომის კვლევის საგანი არის უცხოური ინვესტიციების გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. კვლევის ობიექტია კაპიტალის მსოფლიო ბაზრის ძირითადი თავისებურებები, კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციის თანამედროვე ფორმები.

კვლევის მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია შემდეგი მეთოდები: კვლევის დიალექტიკური, ანალიზის და სინთეზის, მეცნიერული აბსტრაქციის, ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის, სტატისტიკური, ასევე პოზიტიურ-ნორმატიული და შედარებითი ანალიზის მეთოდები.

ნაშრომის მნიშვნელობა. დასკვნები, ისევე როგორც რეკომენდაციები, რომელიც მიღებულია ნაშრომში შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფოს მიერ უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობების გასაუმჯობესებლად. ნაშრომი დაეხმარება მათ ვინც დაინტერესებულია უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებული პრობლემებით.

თავი I. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და თეორიები.

1.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არსი და ძირითადი მახასიათებლები

ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ინვესტიციები. ტერმინ "ინვესტიციებს" აქვს ბევრი მნიშვნელობა. ის აღნიშნავს აქციების, ან ობლიგაციების შესყიდვას იმ მიზნით, რომ რაიმე ფინანსური შედეგი იქნას მიღებული. „ინვესტიციებს“ უწოდებენ ასევე რეალურ აქტივებს, მაგალითად, იმ მანქანებს, რომლებიც რაიმე საქონლის წარმოებისთვის ან გაყიდვისათვის არის გამოსაყენებელი. გავრცელებული აზრით, ინვესტიციები ახდენენ იმის უზრუნველყოფას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ქვეყნის ეკონომიკა გაიზარდოს და მოხდეს მისი განვითარების დაფინანსება.

ტერმინ "ინვესტიციის" განმარტებაში უცხოურ ეკონომიკურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ეკონომიკური აზრით სხვადასხვა სკოლებსა და მიმართულებებში ცნება "ინვესტიცია" შეიცავს საერთო არსებით ნიშანთვისებებს – ინვესტიციის კავშირს მიღებულ შემოსავალთან, როგორც ინვესტორის მიზანთან.

ინვესტიცია არის ინსტრუმენტი, რომელშიც შესაძლებელია ფულის ჩადება, შედეგად კი შეგვიძლია გვქონდეს იმედი მისი ღირებულების მომატების, ან შენარჩუნების, ასევე შემოსავლის უზრუნველყოფის.

ინვესტიცია როგორც, კაპიტალის გატანა უცხოეთში, ხორციელდება ფულადი ან სასაქონლო ფორმით და პროცენტების ან სამეწარმო მოგების მიღების მიზნით. თანამედროვე ეტაპზე თითქმის ყოველი ქვეყანა ერთდროულად გამოდის კაპიტალის ექსპორტიორის და იმპორტიორის როლში, ამიტომ კაპიტალის მოძრაობაში ამ ახალი მოვლენის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი კაპიტალის მიგრაცია, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ქვეყნის კაპიტალის ურთიერთშედევას.

სასესხო კაპიტალის ბაზარზე, მიწოდება ეროვნული დანაზოგიდან ხდება, მოთხოვნა-სამამულო ინვესტიციებიდან, ხოლო მიწოდებას და მოთხოვნას აწონასწორებს სარგებლის

რეალური განაკვეთი. ვალუტის ბაზარზე მიწოდება ხდება წმინდა უცხოური ინვესტიციებიდან, ხოლო მოთხოვნა- წმინდა ექსორტიდან. წმინდა უცხოური ინვესტიციები ის ცვლადია, რომელიც ამ ორ ბაზარს ერთმანეთთან აკავშირებს.¹

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიები განსაზღვრავენ ინვესტორების მოქმედების მთელ სპექტრს მსოფლიო ბაზარზე და ასევე გვაძლევენ საშუალებას დავადგინოთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენის ფორმები და ხარისხი დინამიკაზე და ეკონომიკური განვითარების მექანიზმებზე სხვადასხვა ქვეყნებში. ამ საფუძველზე სახელმწიფოებს შეუძლიათ განახორციელონ წინასწარ გააზრებული სტრატეგია, რომელიც მიმართულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე და მისი გამოყენების ეფექტურობის ამაღლებაზე. მეცნიერ-ეკონომისტები ვარაუდობენ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ბაზისათვის, რომელიც არის აუცილებელი, მაგრამ არა საკმარისი ეკონომიკური წარმატებისათვის, აუცილებელია საერთაშორისო გამოკლევების შედეგების შესწავლა, რომლებიც მიმართულნი არიან უზრუნველყონ თეორიული ბაზა ეროვნული ინვესტიციური პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავების დროს.

უცხოური ინვესტიციები შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგი ნიშნებით:

1. აქტივებზე დამოკიდებულებით, რომლებშიც იქნება დაბანდებული კაპიტალი:

- ✓ რეალური;
- ✓ ფინანსური;
- ✓ არამატერიალური.

რეალური ინვესტიციები - ნიშნავს დაბანდებას რაიმე გრძელვადიან პროექტში, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული არსებული ან ახალი წარმოებითი რეალური ობიექტების აქტივების შექმნასთან საზღვარგარეთ, პირდაპირ ან უშუალოდ დაკავებულ საწარმოო პროცესში.

¹ მენქიუ, გ. (2008). ეკონომიკის პრინციპები. თბილისი

ფინანსური ინვესტიციები - ეს არის დაბანდება ფინანსურ ქონებაში, რასაც აქვს შემდეგი მიზანი: სავალო უფლებების შექმნა ფირმის საქმეში მონაწილეობის სურვილით.

არამატერიალური ინვესტიციები - კონცესიების, სავაჭრო მარკის, პატენტების, ლიცენზიების, და სხვა არამატერიალური უფლებების შექმნა.

2. საკუთრების ფორმების მიხედვით ინვესტიციური რესურსები იყოფა:

- ✓ სახელმწიფო;
- ✓ კერძო;
- ✓ შერეული ინვესტიციები.

კაპიტალის სახელმწიფო გატანა, რომელიც წარმოებს მთავრობის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ან სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კომპანიების მიერ. ესაა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, რომელიც გადაადგილდება საზღვარგარეთ ან მოედინება საზღვარგარეთიდან, მთავრობის ან მთავრობათაშორისი გადაწყვეტილების საფუძველზე. კაპიტალის მოძრაობის ამ კატეგორიაში შედის სესხები, გრანტები, დახმარებები, რომელიც ხორციელდება მთავრობისა და წარმომადგენლობითი ორგანოების ერთობლივი გადაწყვეტილებით.

კაპიტალის კერძო გატანა, რომელიც ძირითადად ხორციელდება უმსხვილესი კომპანიებისა და ბანკების მიერ. ესაა კერძო ფირმების, ბანკების და სხვა არასახელმწიფო ორგანიზაციების სახსრები, რომელიც არ არის დაკავშირებული სახელმწიფო ბიუჯეტთან, მიუხედავად მათი შედარებითი ავტონომიურობისა, მთავრობას აქვს გარკვეული უფლება აკონტროლოს მისი მოძრაობა კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების ფარგლებში.

კაპიტალის გატანა საერთაშორისო სავალუტო-საფინანსო ორგანიზაციების მიერ. სახელმწიფო ინვესტიციები წარმოადგენენ სახელმწიფო ბიუჯეტების სახსრებს, რომლებიც იგზავნება საზღვარგარეთ მთავრობათაშორისი ან სამთავრობო ორგანიზაციების გადაწყვეტილებით. ეს სახსრები შეიძლება შემოთავაზებული იყოს როგორც სახელმწიფო სესხის სახით, კრედიტის, გრანტის, დახმარების. კერძო ინვესტიციები - კერძო ინვესტორების სახსრები, დაბანდება ინვესტორების ობიექტებში განლაგებული

მოცემული ქვეყნის გარეთ. შერეული ინვესტიციები გულისხმობს დაბანდებას, რომელიც ხორციელდება სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორის მეშვეობით.²

3. ინვესტიციების გამოყენების ხასიათის მიხედვით :

- ❖ სამეწარმეო;
- ❖ სასესხო.

სამეწარმეო ინვესტიციები წარმოადგენს პირდაპირ ან ირიბად დაბანდებას სხვადასხვა სახის ბიზნესში, მიმართული მოგების მოპოვებისკენ დივიდენდის სახით.

სასესხო ინვესტიციები დაკავშირებულია ნასესხები სახსრების უზრუნველყოფასთან პროცენტის მიღების მიზნით.

4. დაბანდების ობიექტის მიხედვით:

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, პორტფელური პირდაპირი ინვესტიციები და სხვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კერძო სამეწარმეო კაპიტალის ექსპორტის ძირითადი ფორმაა. იგი უზრუნველყოფს ტნკ-ის მიერ უცხოეთში საზღვარგარეთული ფილიალების საქმიანობის ეფექტიანი კონტროლის შესაძლებლობას. შესაბამისად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეწოდება საზღვარგარეთულ საწარმოებში განხორციელებულ კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინვესტორის მხრიდან მათზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას. საერთაშორისო სტატისტიკაში ამ ჯგუფს მიაკუთვნებენ იმ ინვესტიციებს, რომლებშიც უცხოელი ინვესტორის ხელშია კომპანიის სააქციო კაპიტალის არანაკლებ 25%.³

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ტნკ-ების უცხოეთში საქმიანობის საფუძველია. თვით ტნკ-ების წარმოქმნა და სწრაფი განვითარება შესაძლებელი გახდა პირდაპირი ინვესტიციების ფართომასშტაბიანი ექსპორტისა და ამის საფუძველზე საერთაშორისო წარმოების აღმოცენების შედეგად. პირდაპირი ინვესტიციები რეციპიენტ ქვეყნებში გამოიყენება ახალი საწარმოების ასაშენებლად და არსებულის შესასყიდად ან შთანთქმისათვის.

² Зубченко, Л. (2001). Международное движение капитала в современных условиях // Экономист. №66

³ Мозиас, П. (2002). Прямые инвестиции. Современные тенденции // МЭиМО. №1

ტრანსნაციონალური კომპანიები თავისი საქმიანობის გაფართოებისა და კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად იყენებენ პირდაპირ ინვესტიციებს ანუ კაპიტალს აბანდებენ უცხოურ საწარმოებში და ინარჩუნებენ მათზე კონტროლს. პუი ტრადიციულად განიხილება როგორც უფრო მაღალი მოგების მქონე ქვეყანაში კაპიტალის გატანა მასზე კონტროლის შენარჩუნებით.⁴

ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის კოდექსში პუი შემდეგნაირადაა განმარტებული: პუი არის ინვესტიციები, საწარმოსთან გრძელვადიანი ეკონომიკური კავშირების დამყარების მიზნით, კერძოდ ინვესტიციები დაკავშირებული:

1. ფირმის მფლობელობაში არსებული საწარმოს, განყოფილების ან ფილიალის შექმნასთან ან გაფართოებასთან. უკვე არსებული საწარმოს მთლიანი საკუთრების შექმნასთან.

2. ახლად დაარსებულ საწარმოში წილობრივი მონაწილეობის მიღებასთან.

3. სესხის არანაკლებ ხუთ წლიანი ვადით გაცემასთან.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან სწრაფი ტემპებით ვითარდება საპორტფელო ინვესტიციები- კაპიტალდაბანდებები უცხოურ ობლიგაციებში, უცხოური კომპანიების აქციებში და სხვა ფასიან ქაღალდებში. პორტფელურ ინვესტიციისაგან განსხვავებით პირდაპირი ინვესტიცია, როგორც წესი, საინვესტიციო ობიექტზე კონტროლისა და მართვის უფლებას იძლევა, პორტფელური ინვესტიციების მფლობელი ყიდულობს აქციებს ფასიანი ქაღალდების სახით მხოლოდ მოგების მიღების მიზნით⁵.

პორტფელური ინვესტიციები ხშირად მოკლევადიანია, ხოლო პირდაპირი ინვესტიციები გრძელვადიანია.

საპორტფელო ინვესტიციები- კაპიტალდაბანდებებია უცხოურ ობლიგაციებში, უცხოური კომპანიების აქციებსა და სხვა ფასიან ქაღალდებში. საპორტფელო ინვესტიციებს მიეკუთვნება ისეთი დაბანდებები, რომელთა წილი ფირმის კაპიტალში იმდენად დაბალია,

⁴ Мировая экономика и международный бизнес : учебник / кол. авторов ; под общ. ред. д-ра экон. наук, проф. В.В. Полякова и д-ра экон. наук, проф. Р.К. Щенина. — 5-е изд., стер. — М. : КНОРУС, 2008.

⁵ Вознесенская Н.Н. Иностранные инвестиции: мировой опыт / М.: 2001

რომ არ იძლევა მისი კონტროლის საშუალებას. საპორტფელო ინვესტიციები ფართოდ გამოიყენება ფინანსური ამოცანების გადასაწყვეტად.

ამ დროს ფირმის ფულადი სახსრები გადაიგზავნება ერთი ქვეყნიდან მეორეში მოკლევადიანი და ლიკვიდური ინვესტიციებისაგან უფრო მაღალი მოგების მიღების მიზნით.

პირდაპირი ინვესტიციები, ერთი მხრივ, ფრანჩაიზისა და ლიცენზირების საწინააღმდეგო აქტია, როდესაც ინვესტირება, როგორც ასეთი, არ ხდება და მეორე მხრივ, ექსპორტის ბუნებრივი გაფართოებაა, რადგან როდესაც ექსპორტის მოცულობა იზრდება, შესაბამისად მატულობს ტრანსპორტირების ხარჯები, რისკები, საბაჟო გადასახადები და ა.შ. და ეკონომიკურად მიზანშეწონილი ხდება პირდაპირი ინვესტირება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმართ ინტერესი გამოწვეულია:

✓ ტექნოლოგიური ლიდერობისადმი შენარჩუნებისათვის მისწრაფებით: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების დროს კორპორაციები ინარჩუნებენ კონტროლს ძირითად ტექნოლოგიაზე, და ამით ინარჩუნებენ თავიანთ კონკურენტულ უპირატესობას;

✓ განსხვავებებით საშუალო შრომის ანაზღაურებაში;

✓ შეზღუდვებით პროდუქციის გასაღებაში შიდა ბაზარზე;

✓ კორპორაციის მასშტაბით (რაც უფრო დიდია კორპორაცია, მით უფრო შესაძლებელია პირდაპირი ინვესტირება);

✓ ბუნებრივი რესურსების მოთხოვნით.

პირდაპირი ინვესტირება უცხოეთში ორი ფორმით ხდება:

❖ კომპანიის მიერ საზღვარგარეთ უკვე მზა ბიზნესის, ან მისი ნაწილის შეძენა.

❖ მზა კომპანიის შესყიდვის შეუძლებლობის შემთხვევაში, კომპანიის მიერ

საზღვარგარეთ მიწის შეძენა თავისი პროფილის საწარმოს აშენების მიზნით (Green- Field investment)⁶;

⁶Corporate finance institute. Retrived from <https://corporatefinanceinstitute.com/>

რას იგებს ინვესტიციების (კაპიტალის) ექსპორტიორი და რას იგებს მისი მიმღები? უცხოეთში პირდაპირი ინვესტირებისას კაპიტალის ექსპორტიორი იგებს მოგებას, იმპორტიორი კი - ეკონომიკის განვითარებას, რიგი დადებითი ეფექტებით. ესაა:

- ახალი საქონელი და ბაზარი;
- ახალი და მაღალანაზღაურებადი სამუშაო ადგილები;
- კონკურენციის ახალი სტანდარტები;
- შრომის ახალი კულტურა;
- მოწინავე ტექნიკა-ტექნოლოგია, მენეჯმენტი, მარკეტინგი, აღრიცხვის ახალი

სტანდარტები;

- მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობა და სხვა.

ცხადია, პირდაპირ ინვესტიციებს მიმღები ქვეყნისათვის გარკვეული უარყოფითი ეფექტებიც ახლავს. კერძოდ:

ქვეყანაში უცხოურ კაპიტალთან ერთად შემოდის უცხოელი მესაკუთრეც;

შესაძლებელია მოხდეს „ჭუჭყიანი დარგების“ თავმოყრა, რადგან მსოფლიოში არის ტენდენცია განვითარებული ქვეყნებიდან ჭუჭყიანი წარმოების გატანის განვითარებად ქვეყნებში.

თავად ინვესტორისათვის პირდაპირ ინვესტირებას ახასიათებს გარკვეული უარყოფითი ასპექტებიც, რომელთა გათვალისწინება საქმიანობის პროგნოზირებისას აუცილებელია, კერძოდ:

უპი არის უფრო დიდ ხარჯებთან და რისკებთან დაკავშირებული ვიდრე სხვა საერთაშორისო ბაზარზე გასვლის ფორმა. უპი არის ძვირი იმიტომ, რომ ფირმამ უნდა გაიღოს საზღვარგარეთის ქვეყანაში ფილიალის დაარსების ან უკვე არსებული საწარმოს შესყიდვის ხარჯები. უპი არის დაკავშირებული რისკთან იმ პრობლემების გამო, რომლებიც გამოწვეულია ბიზნესის კეთებით უცხოურ განსხვავებულ კულტურულ გარემოში, სადაც „თამაშის წესები“ განსხვავებულია;

ფირმა აღიქმება, როგორც უცხოური, რაც მომხმარებელთა გარკვეული ჯგუფის, კონკურენტი ეროვნული კომპანიებისა და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან მისდამი

მტრულ დამოკიდებულებას ბადებს. ისინი ხშირად დედა უცხოურ კომპანიას ნდობით არ ეკიდებიან;

ოპერაციების საზღვარგარეთ განხორციელებისას ყველაფერი შტაბ-ბინიდან ძალიან შორს მიმდენარეობს, რაც აძნელებს ინფორმაციის შეგროვებას და გადაცემას, კანტროლსა და მართვას. მაგალითად: ორგანიზაციული მშენებლობისა და საკადრო პოლიტიკის წარმოებისას საჭირო ხდება კულტურული განსხვავებულობის გათვალისწინება; ფინანსური დაგეგმვა და პოლიტიკა ექვემდებარება საგადასახადო კანონებისა და სამართლებრივი შეზღუდვების ახალ (განსხვავებულ) ნაკრებს; ასევე მნიშვნელოვანია უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული რისკები და უცხო პოლიტიკური გარემო.

კლასიკური თეორია. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მიმდევრებმა, უპირველესად ა.სმიტმა, და დ.რიკარდომ, ასევე, ჯ.მილმა, ჯ.ბ. სეიმმა, ჯ.ლოდერდეილმა, ტ.მალთუსმა, ნ.სენიორმა მეტად გააფართოვეს ინვესტიციების განხილვის არეალი, მათი ყველა ძირითადი ასპექტის მიხედვით და ამასთანავე, პირველად ჩამოაყალიბეს საზოგადოების ინვესტიციური მოდელის პარამეტრები. მათ გააფართოვეს სამრეწველო წარმოების ინვესტიციური სფეროს, შემდეგ კი – არასაწარმო სფეროს არეალი. მათ პირველად დააცალკევეს გამოკვეთილად ფულისა და კაპიტალის ცნებები, განსაზღვრება მოახდინეს კაპიტალის დაგროვების როლის საინვესტიციო რესურსების ფორმირებაში, განიხილეს საკრედიტო ფულის როლი ინვესტიციების განვითარებაში. მათ მიერ შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით საინვესტიციო რესურსების განაწილების ოპტიმიზაციის სქემა და დაიწყო ინვესტიციების საერთაშორისო მიგრაციის კვლევა.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის კლასიკური თეორიის ფუძემდებელი ინგლისელი ეკონომისტი ჯ. მილი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა ახსნა ქვეყნებს შორის მოგების ნორმაში განსხვავებით. ის ხაზს უსვამდა იმ ფაქტორს, რომ ქვეყნებს შორის მოგების ნორმებში მერყეობა არსებითი უნდა იყოს, რათა დაფაროს რისკი, რომელიც უცხოელ ინვესტორს შეიძლება ჰქონდეს უცხო ქვეყანაში.

კლასიკური პოლიტეკონომიის წარმომადგენლების მიერ ფორმირებული საზოგადოების ინვესტიციური მოდელის ძირითადი მახასიათებელი ნიშნები ნიშნებმა დიდი გავლენა იქონია ინვესტიციების თეორიების შემდგომ განვითარებაზე.

ნეოკლასიკური თეორია. საყოველთაოდაა აღიარებული ნეოკლასიკური პოსტულატი დაგროვებისა და ინვესტიციების პირობების იგივეობის შესახებ, რაც გულისხმობს დაგროვების აქტის იდენტურობას ინვესტირების აქტთან.

ინვესტიციების თეორიაში ნეოკლასიკური ეკონომიკური დოქტრინის წარმომადგენელთა წვლილს განსაზღვრავს, აგრეთვე დინამიკური ინვესტიციური ანალიზის საფუძვლების მომზადება და მათ მიერ იმ მრავალრიცხოვანი ფაქტორების გამოკვლევის გათვალისწინებით, რომლებიც ინვესტიციის ბაზრის წონასწორობას უზრუნველყოფენ მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდში.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის ნეოკლასიკური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანია ბ. ოლინის კონცეფცია, რომელიც ქვეყნებს შორის კაპიტალის მოძრაობას სარგებლის დონეებს შორის განსხვავებით ხსნიდა. ამ მიდგომის საფუძველზე სარგებლის დონე გაიგივებული იყო კაპიტალის ფასთან. ბ. ოლინის თეორიის მიხედვით, კაპიტალი საერთაშორისო მასშტაბით მანამ იმოძრაავს, სანამ მისი ზღვრული სარგებელიანობა განსხვავებული იქნება ქვეყნებს შორის, რადგან კაპიტალის ფასის გამოხატულება და შედეგად ზღვრული სარგებელიანობა არის სარგებლის დონე⁷.

ოლინმა გამოყო კაპიტალის საერთაშორისო მიგრაციის განსაზღვრელი ფაქტორები: საბაჟო ბარიერები, ფირმების მისწრაფება ნედლეულის გარანტირებული წყაროების და კაპიტალდაბანდებათა გეოგრაფიული დივერსიფიკაციისაკენ, პოლიტიკური უთანხმოება და ქვეყნებს შორის სიახლოვე. მან, ეკონომისტთაგან პირველმა აღნიშნა, რომ კაპიტალის გატანის მიზანი იყო თავიდან აცილებინა დიდი დაბეგვრა. ოლინმა ზღვარი გაავლო გრძელვადიანი და მოკლევადიანი კაპიტალის ექსპორტს შორის. ამ უკანასკნელს, მისი აზრით, ჩვეულებრივ სპეკულაციური ხასიათი აქვს.

⁷ Ohlin, B, Interregional and international trade – Camb, 1997

ე. ჰექშერმა ფასების საერთაშორისო გათანაბრების ტენდენცია წარმოების ფაქტორებთან დაასაბუთა. მან დაადგინა, რომ საერთაშორისო გაცვლა ხდება წარმოების ფაქტორების შედარებით სიუხვისა ან შედარებით იშვიათობის გამო. წარმოების ფაქტორები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა რაოდენობითაა წარმოდგენილი, ამიტომ მათი ფასი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით.

რ. ნურკსესის მიხედვით კაპიტალის გატანა აიხსნება საპროცენტო განაკვეთებში ცვლილებებით და გამოდის სასაქონლო ექსპორტის ალტერნატივის სახით.

კეინზიანური თეორია. ინვესტიციების მაკროეკონომიკურ თეორიაში დიდი შემობრუნება განახორციელა ეკონომიკური აზრის კეინზიანური მიმართულების წარმომადგენლებმა - ჯ. კეინზმა და მისმა მრავალმა მიმდევრმა. მათი კვლევების შედეგებმა უზარმაზარი ცვლილებები მოახდინეს ინვესტიციების ძველ თეორიებში და საზოგადოების ინვესტიციურ მოდელში.

კეინზიანური თვალთახედვიდან გამომდინარე, ჭარბი კაპიტალის, როგორც უცხოური ინვესტიციების მოძრაობის მთავარი ფაქტორის გამოკვლევისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კაპიტალის მოძრაობასა და საგადასახდლო ბალანსის მდგომარეობას შორის კავშირს. კეინზის აზრით, ქვეყნიდან კაპიტალი მაშინ გააქვთ, როცა საქონლისა და მომსახურების ექსპორტი აღემატება მის იმპორტს (რათა საქონლის მყიდველ ქვეყნებს მიეცეთ მათი შემოტანის დაფინანსების საშუალება).

დიდ ინტერესს იწვევს ლიკვიდურობის უპირატესობაზე დაფუძნებული კაპიტალის გატანის მოდელების განხილვა. კეინზიანური მიდგომის თანახმად, ინვესტორს მიდრეკილება აქვს თავისი რესურსების ერთი ნაწილი შეინახოს დაბალლიკვიდური ფორმით, მეორე ნაწილი კი – მაღალლიკვიდური ფორმით. მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტის ჯ. ტობინის პორტფელური ლიკვიდურობის კონცეფციის თანახმად, ინვესტორის ქცევას განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების პორტფელური დივერსიფიკაცია, რომელიც დაფუძნებულია შემოსავლიანობის, ლიკვიდურობისა და რისკის შეფასებაზე.

ნეოკეინზიანური თეორია. ნეოკეინზიანური თეორიის წარმომადგენლების შორის იყვენ ფ.მაჰლუპი, რ.ჰარორდი, ე.დომარის, რომელბიც შეიტანეს მნიშვნელოვანი წვლილი ინვესტიციების განვითარებაში.

ფ.მაჰლუპი თვლიდა, რომ კაპიტალის ექსპორტის შეუძლია სამამულო ინვესტიციების შეზღუდვა. ქვეყნებში, სადაც ხორციელდება კაპიტალის იმპორტი, აღინიშნება ინვესტიციების ზრდის სტიმულირებით, რაც საბოლოოდ ზრდის ეროვნული შემოსავლის მომხმარებას.

რ.ჰარორდი ადასტურებდა, თუ ქვეყანაში დანაზოგი აღემატება ინვესტიციებს, მაშინ ეკონომიური ზრდის ტემპები შენელებდა, ძლიერდება კაპიტალის გატანის ტენდენციები.

ე.დომარის თანახმად, აუცილებელია სახელმწიფო უცხოური ინვესტიციების გაფართოება და საპროცენტო განაკვეთის რეგულირება საგადასახდელო ბალანსის დადებითი სალდოს მისაღებად.

მარქსისტული თეორია. მარქსისტული სკოლის ინვესტიციების თეორიის ყველაზე უფრო ღირებული დასკვნა გახდა ინვესტიციების, როგორც მოგების ზრდის ფუნქციის განხილვა. კ.მარქსის მტკიცებით, ინვესტიციებზე არსებული მოთხოვნა შენარჩუნდება და დაგროვილი კაპიტალი სრული მოცულობით ინვესტირდება მანამდე, სანამ დაბანდებული სახსრები სულ მცირე მოგებას მაინც მოიტანდენ. ასევე, მისი აზრით, საინვესტიციო მოგების ვარიაციაში თითქმის გავლენას არ ახდენს ინვესტიციის პროცესის სიხშირეზე, რადგან მოგებაზე გამოკიდება ითვლება კაპიტალისტის მიზნად და ის მის კაპიტალს, პრესტიჟულობიდან გამომდინარე, აბანდებს მისი სოციალური სტატუსის ძალით. მარქსი საინვესტიციო აქტივობის მთავარ რეგულატორად მიიჩნევდა მოგებას, რითაც უარყო საინვესტიციო პროცესზე სხვა ფაქტორებზე სასესხო პროცენტის განაკვეთის გავლენა.

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის მარქსისტული თეორია, კაპიტალის გატანას ასაბუთებს ქვეყანაში ჭარბი კაპიტალის არსებობით. ჭარბ კაპიტალში გულისხმობენ იმ კაპიტალს, რომლის გამოყენება იწვევს მოგების ნორმის შემცირებას. საქონლის ან კაპიტალის ექსპორტის მეშვეობით ამ სიჭარბის (რეალური ან პოტენციური) გადინება ხდება საზღვარგარეთ.

1.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიები

წლების განმავლობაში ბევრი ეკონომისტი ცდილობდა აეხსნა თუ რატომ ახორციელებენ ფირმები პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. პუი არის მრავალ ეროვნული ორგანიზაციის ჩამოყალიბების ძირითადი საშუალება, კონტროლის გაფართოება და უცხო ბაზრებზე შეღწევა კი დამოკიდებულია ფირმის განსაკუთრებულ უპირატესობებზე. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია ჰაიმერის მიდგომა, რომელიც ფირმის განსაკუთრებულ უპირატესობათა ფაქტორად განიხილავდა დარგობრივ ბაზრებზე არასრულყოფილ კონკურენციას.

ჰაიმერის მიხედვით კორპორაცია ვალდებულია ფლობდეს მონოპოლიის ან ოლიგოპოლიის უპირატესობებს, რომ შეძლოს საზღვარგარეთ მომგებიანი წარმოების ორგანიზება. უცხოურ ბაზარზე, როდესაც ხდება კომპანიის გასვლა მას უწევს ადგილობრივ კორპორაციებთან მოქმედება, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ ბევრი უპირატესობა, რადგან დიდი ცოდნა აქვთ საკუთარ ბაზარზე, მოქმედების წესებზე, მომხმარებლის გემოვნებაზე, ასევე კონტაქტში არიან ადგილობრივ ადმინისტრაციასთან. როდესაც კომპანიას სურს დაიპყროს ბაზრის რომელიმე სეგმენტი, მას უწევს მონოპოლიური კონკურენციის მეთოდების გამოყენება. ამ დროს კომპანია ცდილობს გამოიყენოს კონკურენტული სტრატეგიის განსაკუთრებული სახე, გამოყოფს თავის საქონელს განსაკუთრებულ ჯგუფად, შემდეგ მისი საქონელი ხდება განსაკუთრებული და წარმოიშვება თავისებური მონოპოლია, შესაძლებელია საკმაოდ ვიწრო ბაზარზე. მაგ. კოკა-კოლა რეკლამაში ძალიან დიდი ინვესტიციების ხარჯზე გახდა თავისებური განსაკუთრებული საქონელი, რომელიც გამოყოფილია სხვა გამაგრებული სასმელების ჯგუფიდან. იგივე შეიძლება ითქვას მასთან მონოპოლიურ კონკურენციაში მყოფ პეპსიზე.

ს. ჰაიმერის მიერ წამოყენებული **მონოპოლიური უპირატესობის თეორია** შემდგომში ჩ. კინდლერგერმა განავითარა. თავის ნაშრომებში ის იკვლევდა ტნკ-ების შინაგან ბუნებას, რომელიც ფირმებს საშუალებას აძლევდა განეხორციელებინათ პუი-გაიგივებული „მასშტაბის ეკონომიასთან“ და განსაკუთრებულ „მენეჯერულ უნართან.“

საერთაშორისო ბაზარზე გასვლისას ფირმა ხშირად აწყდება ისეთ დაბრკოლებებს, როგორცაა ადგილობრივ ბაზარზე "თამაშის წესების", მომხმარებელთა გემოვნების არ ცოდნა, რაც იწვევს მაღალ ტრანსაქციულ დანახარჯებს და ქმნის რისკის მაღალ ხარისხს. მსგავს შემთხვევაში ფირმის წარმატებული საქმიანობისათვის კინდლებერგერმა გამოყო შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

-ადგილობრივ სასაქონლო ბაზარზე არასრულყოფილი კონკურენცია (ორიგინალური პროდუქციის არსებობა);

-ფაქტორულ ბაზრებზე არასრულყოფილი კონკურენცია (თუ უცხოური ფირმა ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიას, აქვს დიდი სამეწარმეო გამოცდილება, ადვილად მიუწვდება ხელი კრედიტზე);

- უპირატესობები მასშტაბში (რის ხარჯზეც შეიძლება მეტი მოგების მიღება);

- უცხოური ინვესტიციების ხელსაყრელი სახელმწიფო რეგულირება.

პუი-ს განმსაზღვრელი ფაქტორი, დაფუძნებული საქონლის სასიცოცხლო ციკლის თეორიაზე, ემყარება ნებისმიერი საქონლის მიერ ბუნებრივი სასიცოცხლო ციკლის გავლის შესახებ პოსტულატს. თეორია ჩამოაყალიბა ვერნონმა 1966 წელს.⁸ ამ თეორიით მტკიცდება, რომ ყოველი საქონელი (უმეტესად, მზა პროდუქცია) სამ სტადიას (დანერგვა, სიმწიფე, დაქვეითება) გაივლის. საქონლის საერთაშორისო გადაადგილება (წარმოება, მოხმარება) სასიცოცხლო ციკლის კონკრეტულ სტადიაზეა დამოკიდებული. სასიცოცხლო ციკლი შედგება რამდენიმე ფაზისაგან:

- დანერგვა;
- სიმწიფე;
- დაქვეითება.

დანერგვის სტადია. ჩვეულებრივ, ახალი პროდუქტი მაშინ იქმნება, როცა მასზე მოთხოვნა და შესაბამისი ბაზარი არსებობს. უპირატესად, საჭირო ინფორმაცია შიდა ბაზრიდან მოიძიება და ახალი პროდუქციაც საცდელად ეროვნულ ბაზარზე (უმეტესად,

⁸ Denisia.V. (2010). European journal of interdisciplinary studies. Foreign direct investment theories: an overview of the main FDI theories

მაღალგანვითარებულ ქვეყნებში) იყიდება. მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში პროდუქციის საცდელი წარმოების ხელსაყრელი პირობებია, რადგან მოსახლეობის შემოსავლები (რაც მოთხოვნას წარმოშობს) და წარმოების ტექნიკური დონე მაღალია, არსებობს კვალიფიციური კადრებიც. მოგვიანებით, ახალი პროდუქციის წარმოება მსხვილსერიული ხდება, შენდება ახალი საწარმოები, ფართოვდება საწარმოო სიმძლავრეები და პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიაც იხვეწება. ამ სტადიის დასკვნით ეტაპზე ახალი პროდუქცია სხვა ქვეყნის (უმეტესად იქ, სადაც ბაზრის ანალოგიური სეგმენტია) ბაზარსაც იკავებს.

სიმწიფის სტადიას ახასიათებს პროდუქციის პირველმწარმებელ ქვეყანაში ბაზრის გაჯერება, მოთხოვნის სტაბილიზაცია, კონკურენციაში საფასო პოლიტიკის როლის გაძლიერება, პირველმწარმოებლის თანდათან შევიწროება, იაფი მუშახელისა და ახალ ბაზართან მიახლოების გამო, ეროვნული საბაზრო სივრციდან წარმოების უცხოეთში, უპირატესად, ახალ ინდუსტრიულ ქვეყნებში გადატანა.

დაქვეითების სტადიაზე ადრე გამოვლენილი ფაქტორების ზემოქმედება თანდათან ძლიერდება, წარმოება განვითარებულ ქვეყნებში კიდევ უფრო იზღუდება და იგი განვითარებად ქვეყნებში გადააქვთ, ხოლო მცირე ადგილობრივი მოთხოვნა იმპორტით კმაყოფილდება. ამ სტადიის დასკვნით ეტაპზე საქონლის რეალიზაცია მნიშვნელოვნად მცირდება, ფირმებში სპეციალური ჯგუფები იქმნება, რომლებიც ვითარების შესწავლით საფუძველზე იღებენ გადაწყვეტილებას:

- დატოვონ საქონლის წარმოება უცვლელად ან,
- შეცვალონ მარკეტინგული სტრატეგია ან,
- მოხსნან საქონელი წარმოებიდან.

დაქვეითების სტადიაზე არსებობს მრავალი ვარიანტი. კერძოდ, დატოვო ბაზარი ან დაელოდო, როცა მას კონკურენტები გაეცლებიან და შემდეგ მნიშვნელოვნად გაზარდო გაყიდვების მოცულობა. შესაძლებელია შიდა რესურსებისა და ძალისხმევის კონცენტრაცია ტევად ბაზრებზე ან მარკეტინგული ხარჯების მკვეთრი შემცირება. წარმოებიდან საქონლის მოხსნა, წარმოების უფლება გაყიდვა და სხვა.

მოცემული თეორიის თანახმად, პროდუქტის სამამულო წარმოება პირველ სტადიაზე იწყება, მაქსიმალურ ეფექტს მეორე სტადიაზე აღწევს და დაქვეითებას მესამე სტადიაზე განიცდის. იმ ქვეყნიდან საქონლის ექსპორტი, სადაც მდებარეობს მისი პირველმწარმოებელი კომპანია, ასევე პირველი სტადიიდან იწყება და მაქსიმუმს მეორე სტადიაზე აღწევს. მესამე სტადიაზე კი ეს ქვეყანა შეიძლება თავისივე პროდუქტის იმპორტიორი გახდეს.⁹

ახლად შექმნილი (გამოგონებული) პროდუქტი ჩვეულებრივ სრულყოფას საჭიროებს. წარმოებაში მისი დანერგვისათვის საჭიროა მოწინავე ტექნიკა, შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები, დრო და ა.შ. აღნიშნულის გამო, ახალი საქონლის წარმოების ათვისება მიზანშეწონილია იმ ქვეყნებში, სადაც იგი პირველად იქნა წარმოებული ან მოხმარებული. ახალი საქონელი, როგორც წესი, ფუფუნების საგნებს განეკუთვნება, ამიტომ დასაწყისში იგი მაღალშემოსავლიან ქვეყნებში იწარმოება და მოიხმარება. აღსანიშნავია, რომ ბოლო უკანასკნელი რამოდენიმე ათწლეულის განმავლობაში თითქმის მთელი მსოფლიოს მოწინავე ტექნოლოგიები შექმნილია განვითარებულ ქვეყნებში.¹⁰

მართალია, ახალი საქონელი ძირითადად ქვეყნის შიდა ბაზარზე იყიდება, მაგრამ მათი მცირე ნაწილი მაინც გადის უცხოურ ბაზარზე და ეს ბაზარი ჩვეულებრივ საქონელმწარმოებელი ქვეყნის მსგავსია. ინოვაციურ ფაზაში კორპორაცია, რომელიც არის მოცემული საქონლის პიონერი (შემქმნელი), იძენს კონკურენტულ უპირატესობას და ფარავს დანახარჯებს სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებზე.

დანერგვის ფაზაში საქონლის წარმოების ტექნოლოგია საკმაოდ შრომატევადია. ამის ძირითადი მიზეზია მისი მსხვილსერიული წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობების უქონლობა (ახალი ტექნოლოგიები ჩვეულებრივ ახალ ტექნიკაზე ადრე იქმნება). დროთა განმავლობაში საქონლის გასაღების გაფართოებით იწყება მისი წარმოების ზრდა და იგი

⁹ ჯოლია. გ. (2015). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი: ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი

¹⁰ Гриффин Р., Пастей М. (2006). Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. СПб.: Питер

მასობრივ ხასიათს იღებს (საქონელი შედის ზრდის ფაზაში). იქმნება საქონლის მასობრივი წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობები და იწყება მისი უცხოეთის ბაზრებზე გატანა, ზოგიერთ ქვეყანაში კი აბანდებენ კაპიტალს მისი ადგილზე წარმოების ორგანიზების მიზნით. გარკვეული პერიოდის შემდეგ ახალი საქონელი იღებს სტანდარტულ სახეს, იწყება მისი სიმწიფის ეტაპი და იკარგება მაღალი ტექნოლოგიების ქვეყანაში მისი წარმოების მიზანშეწონილება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განმსაზღვრელი **ოლიგოპოლიური დაცვის თეორია** ემყარება მოსაზრებას, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიმოსვლა საერთაშორისო ბაზარზე კონკურენციიდან გამომდინარეობს. აღნიშნული მოსაზრების ადრეული ვარიანტის ავტორია ნიკერბროკერი, რომელიც აკვირდებოდა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებისა და ოლიგოპოლიური კონკურენციის ურთიერთდამოკიდებულებას.¹¹

ოლიგოპოლია არის მეწარმეობა, რომელიც შედგება განსაზღვრული რაოდენობის დიდი ზომის კომპანიებისაგან (თუ მრეწველობაში 4 კომპანია აკონტროლებს შიდა ბაზრის 80% საქმე გვაქვს ოლიგოპოლიურ გაერთიანებასთან). ასეთი სახის მრეწველობაში მთავარ წევრებს შორის მაღალი ხარისხის ურთიერთდამოკიდებულებაა: ერთი ფირმის ბაზარზე მოქმედებამ შეიძლება პირდაპირ ზემოქმედება მოახდინოს მთავარ კონკურენტებზე. აქედან გამომდინარეობს, რომ თუ ერთი ფირმა ამცირებს ფასებს, დანარჩენი ფირმებიც იძულებულნი არიან შეამცირონ ფასები, ბაზარზე თავიანტი პოზიციის შესანარჩუნებლად.

ხშირად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობას განლაგების და ინტერნალიზაციის თეორიებით ხსნიან. პუი-ს მთავარი მიზანია - გაამარტივოს საერთაშორისო კორპორაციული სუბიექტების შექმნა და ამით გაზარდოს კონტროლის ზონა.

განლაგების თეორია საკმაოდ მარტივია. წარმოების განლაგება ნაწილობრივ ემყარება რესურსების არსებობას. მინი კომპიუტერების მწარმოებლები თავიანთ საკონსტრუქტორ

¹¹ Гриффин Р., Пастей М. (2006). Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. СПб.: Питер

სამუშაოებს ახორციელებენ ჩრდილოეთ კალიფორნიასა ან მასაჩუსეტში, ხოლო შრომატევად საამწყობო სამუშაოებს – სინგაპურსა ან ისლანდიაში. მეორე მხრივ, ვაჭრობის განვითარების გზაზე არსებული სხვადასხვა ბარიერები, სატრანსპორტო დანახარჯები გავლენას ახდენს წარმოების განლაგებაზე. მექსიკის საავტომობილო მრეწველობა მნიშვნელოვან წილად არსებობს იმ საიმპორტო ბარიერების და სხვა პროტექციონისტული შეზღუდვების ხარჯზე, რომლებიც ამცირებს იმპორტის მოცულობას. საქმე ისაა, რომ ის მიზეზები რომლებიც გავლენას ახდენენ კორპორაციების გადაწყვეტილებაზე წარმოების განლაგების შესახებ, მთლიანობაში ბევრად არ განსხვავდება ვაჭრობაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორებისაგან.¹²

სხვა საკითხია ინტერნალიზაციის პრობლემა. პირველი, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში მრავალეროვნული კომპანიების საქმიანობებს შორის ყოველთვის არსებობს რაღაც კავშირი. ფირმის ერთი ფილიალის პროდუქცია შეიძლება სხვისთვის რესურს წარმოადგენდეს, ტექნოლოგია შეიძლება ერთ ქვეყანაში შემუშავდეს, ხოლო მისი გამოყენება მეორე ქვეყანაში მოხდეს. სხვადასხვა ქვეყანაში განლაგებული ფირმების მართვა შეიძლება ეფექტიანად განხორციელდეს ერთი ცენტრიდან (ქვეყნიდან). ასეთი კავშირები აყალიბებს კორპორაციული სტრუქტურების კლასს და თვით ტნკ-ს არსებობა იმისთვისაა საჭირო, რომ გაამარტივოს ასეთი კავშირების დამყარება. ჩვენ განვმარტეთ ინტერნალიზაცია, მაგრამ არ აგვიხსნია თუ რა იწვევს მას. რატომაა, რომ ზოგიერთი კავშირი უფრო ადვილად მყარდება ფირმის შიგნით, ვიდრე ფირმებს შორის? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ ორი გავრცელებული შეხედულება.

პირველი თვალსაზრისის თანახმად, ინტერნალიზაციის პროცესი იძლევა ტექნოლოგიების გადაცემის შესაძლებლობებს. ტექნოლოგია, ანუ ეკონომიკური თვალსაზრისით ცოდნის ყველა ფორმა, რომელსაც ეკონომიკური ღირებულება გააჩნია შეიძლება გაიყიდოს ან ლიცენზირებულ იქნას, თუმცა ამის შესრულებას მნიშვნელოვანი სირთულეები ახლავს თან. ტექნოლოგიას ყოველთვის დიდი ყურადღებით ეპყრობოდნენ.

¹² Гриффин Р., Пастей М. (2006). Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. СПб.: Питер

მისი თეორიული არსი განივთებული იყო პიროვნებათა ცოდნაში და გაყიდვას ან მსგავს პრაქტიკულ პროცედურებს არ ექვემდებარებოდა. პოტენციურმა მყიდველმაც კი არ იცოდა, რა ღირდა ის ცოდნა, რისი შეძენაც სურდა. ცოდნა საკუთრებაა, თუმცა ამ უფლების ბოლომდე განხორციელება თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, თუ ევროპული ფირმა ტექნოლოგიის ლიცენზიას აძლევს აშშ-ს ფირმას, აქაურ სხვა ფირმებს კანონიერად შეუძლიათ ამ ტექნოლოგიის მიმსგავსებული პროცესები შეიმუშაონ. ყველა ეს პრობლემა შემცირდება, თუ ფირმა ტექნოლოგიის გაყიდვის მაგივრად დაიწყებს სხვა ქვეყნებში ფილიალების ჩამოყალიბებას და მოცემული ტექნოლოგიის დანერგვას.

მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ინტერნალიზაციის მეშვეობით შესაძლებელია ვერტიკალური ინტეგრაციის პოტენციალის რეალიზაცია. თუ ერთი ფირმა, რომელიც საწარმოო ჯაჭვის სათავეში იმყოფება უშვებს ისეთ პროდუქციას, რომელიც სხვა ფირმისათვის რესურსს წარმოადგენს, შეიძლება წარმოიშვას რიგი პრობლემები, რომელიც დაკავშირებული იქნება საწარმოო პროცესის კოორდინაციასთან, კერძოდ მოთხოვნისა და მიწოდების განსაზღვრასთან. ფასების მერყეობამ შეიძლება რომელიმე ფირმა აიძულოს გაწიოს მეტი რისკი. თუ ორივე ფირმა გაერთიანდება ერთ ვერტიკალურ ინტეგრაციულ კორპორაციაში, მსგავსი პრობლემები მთლიანად მოიხსნება.

1997 წელს ჯონ დანინგმა (Jon Dunning) აღნიშნა ეს მრავალფეროვნება უპი-ს ეკლექტიკური თეორიის განვითარებაში¹³. დანინგმა ასევე, წარგვიდგინა ისეთი თეორია, რომელმაც გააერთიანა ეკონომიკური ანალიზის რამდენიმე პუნქტი: წარმოების ორგანიზაციის, საერთაშორისო ვაჭრობის, ფირმის თეორიისა და საერთაშორისო კონკურენციული უპირატესობის თეორია¹⁴.

¹³ The Theory of Transnational Corporations: A Historical Perspective, Edited by J. Dunning, Routledge, 1993

¹⁴ეს თეორია ჯონ დანინგმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა ნაშრომებში: „Trade Location of Economic Activity and the NME: A Search for an Eclectic Approach”, in Bertil Ohlin, Par-Ove Hesselborn, and Per Magnus Wijkman, eds., the International Allocation of Economic Activity. p.395-418. ინტერნაციონალიზაციის თეორია პირველად პიტერ ბაკლისა და მარკვეს სონის მიერ იქნა გადმოცემული მათ გამოკვლევაში "the Future of the Multinational Enterprise" (London: Macmillan 1976)

დანინგის მიხედვით კონკურენციული ბაზრის მომსახურებისათვის კომპანია უნდა ფლობდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უპირატესობებს. კერძოდ, ფირმის სიდიდეს, მისპოზიციას, ბაზარზე რესურსების გამოყენების შესაძლებლობებსა და არამატერიალური აქტივების მფლობელობას. ფირმა მეტ მოგებას ღებულობს მაშინ, როდესაც თვითონ იყენებს ამ უპირატესობებს, ვიდრე როდესაც მათ ყიდის, ან სხვა კომპანიებზე უპირატესობათა გამოყენების უფლებას გადასცემს. კომპანია თავის უპირატესობათა ინტერნაციონალიზაციას პუი-ს საქმიანობის გაფართოების მეშვეობით ახდენს.

ჯონ დანინგის **ეკლექტიკური თეორია** პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და საგარეო ბაზარზე ფირმის უპირატესობას ერთმანეთთან აკავშირებს და უცხოეთში ეკონომიკურ საქმიანობას (საერთაშორისო ბიზნესი) სამი ალტერნატიული ასპექტით განიხილავს:

1. უპირატესობა ფასიანი აქტივების ფლობით;
2. უპირატესობა საწარმოო სიმძლავრეების უცხოეთში გატანით;
3. უპირატესობა პროდუქციის წარმოების ინტერნალიზაციით.

ეკლექტიკური მოდელის თანახმად, უცხოეთში კაპიტალის პირდაპირი დაბანდება გავლენას ახდენს როგორც კომპანიის საერთაშორისო კომერციულ, ისე შიდაკორპორაციულ შედეგებზე.

მოცემული თეორიით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მეშვეობით საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობა მიზანშეწონილია, თუ არსებობს:

1. უნიკალური აქტივების (სავაჭრო მარკა, პატენტი) ფლობით მიღებული კონკურენტული უპირატესობა;
2. საინვესტიციო ქვეყანაში ადგილობრივი ბუნებრივი და შრომითი რესურსების გამოყენებით, ასევე სპეციალური შეღავათებისა და ტარიფების არსებობით მიღებული უპირატესობა;
3. ბიზნესის ინტერნალიზაციით მიღებული უპირატესობა.

კონკურენტული უპირატესობის თეორიის თანახმად, კომპანია რომელსაც ფასიან აქტივებს ფლობს, შეუძლია კონკურენტული უპირატესობის გამოყენება საზღვარგარეთის ბაზრებზე შესაღწევად. აღნიშნული აქტივების შემადგენელი ნაწილებია: ცნობილი სავაჭრო მარკა, მოწინავე ტექნოლოგია, ან მასშტაბის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა. კომპანიას, რომელიც ახორციელებს უპი-ს, ამავდროულად, საზღვარგარეთ გააქვს თავისი კონკურენტული უპირატესობა. მაგალითად, ასეთი ცნობილი კომპანიები როგორცაა „Nike“, „Adidas“, „Reebok“.¹⁵

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების თეორიების განსაზღვრისას ასევე მნიშვნელოვანი „მფრინავი ბატების“ პარადიგმა, რომელიც შემუშავდა იაპონელი მეცნიერი კ. აკამაცუს მიერ, როგორც ეკონომიური განვითარების განზოგადებული თეორია. მისი წარმოდგენით, არსებობს დარგის განვითარების სამი ფაზა:

1 ფაზა: პროდუქცია შემოდის ეკონომიკაში უცხოელი წარმოებლებისაგან იმპორტის მეშვეობით;

2 ფაზა: ეროვნული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იხსნება ახალი ადგილობრივი წარმოებები;

3 ფაზა: პროდუქციის სიჭარბე ექსპორტირდება ახალ უცხოურ ბაზრებზე აკამაცუმ ააშენა თავისი პარადიგმა საფეიქრო მრეწველობის დაკვირვების საფუძველზე იაპონიაში (მაშინ კიდევ განვითარებადი ქვეყანა). იმან დაინახა რომ მიმდევრული იმპორტის, ადგილობრივი წარმოების და ექსპორტის გამოჩენა, გრაფიკულად ჰგავს ველური ბატების ხროვის ფორმირებას. მრავალი წლის შესწავლის შემდეგ პროდუქციისა და დარგის განვითარების მთლიანი ციკლის, აკამაცუმ შესძლო შიდა პროცესებისა და იაპონური სამრეწველო სექტორის კონკურენტუნარიანობის ცვლილებების დინამიკის დემონსტრირება.¹⁶

¹⁵ Гриффин Р., Пастей М. (2006). Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. СПб.: Питер

¹⁶ Гриффин Р., Пастей М. (2006). Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. СПб.: Питер

თავი II. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზეგავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

2.1. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა და დინამიკა საქართველოში

გლობალიზაციის თანამედროვე პირობებში საქართველოსთვის და არა მარტო, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვა არის ძალიან მნიშვნელოვანი. ისტორიის მიხედვით, არცისე დიდი დრო გავიდა მას შემდეგ, რაც მთავრობებმა გააანალიზეს თუ რა როლი უჭირავს უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს და რამდენად დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ჭრილში.¹⁷

ინვესტიციების სტატისტიკის ამოცანები მდგომარეობს ინვესტიციების საერთო მოცულობის, მათი სტრუქტურის (ცალკეულ სახეობათა მიხედვით), ინვესტიციების დინამიკა და მათზე მოქმედი ფაქტორების შესწავლა.

საქართველოს სტატისტიკის სამსახურის განმარტებით: FDI არის საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორია და ის გულისხმობს ერთი ქვეყნის რეზიდენტის მიერ სხვა ქვეყანაში მდებარე კომპანიასთან მიმართებაში განსხვავებული ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების უზრუნველყოფას. პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს.¹⁸

უპი-ის ძირითად წყაროებია საქსტატის მიერ შედგენილი კვარტალური და წლიური ხანგრძლივობის სტატისტიკური გამოკვლევა კომპანიების საგარეო ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. ინფორმაცია ასევე მიიღება საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ.

¹⁷ სიხარულიძე, დ. და ჭარაია, ვ. (2018) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“

¹⁸ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. დამოუკიდებელი ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები: მოკლე მიმოხილვა. მოძიებულია <http://pbo.parliament.ge/ge/>

საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოს საფინანსო სფეროში, კერძოდ, კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პუი-ის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას დაყოველკვარტალურად საქსტატისათვის გაგზავნას.

საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევა ამჟამად მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს (კონტროლირებად ტერიტორიებს) და 2000-მდე სამეწარმეო სუბიექტს.

ყოველკვარტალურად ხორციელდება შერჩეულ საწარმოთა განახლება მათი საქმიანობისა და დამფუძნებელთა კლასიფიკაციის მიხედვით.


უპი-ის ძირითადი კომპონენტებია: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სხვა კაპიტალი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, წინასწარი მონაცემებით, საქართველოში განხორციელებული პუის მოცულობამ 2020 წლის I კვარტალში 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის წინასწარ მონაცემებზე 41.7%-ით ნაკლებია.¹⁹

დიაგრამა #1

¹⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. <http://geostat.ge>

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018-2020 წლებში
(მლნ. აშშ დოლარი)




პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია:

- ✓ მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება.
- ✓ რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში.
- ✓ პოლიტიკური არასტაბილურობა.
- ✓ ბიუროკრატიული ბარიერები.
- ✓ არაკვალიფიციური მუშახელი.
- ✓ კორონავირუსის პანდემია.

ხოლო, წლის ჭრილში რომ განვიხილოთ, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი პუი-ს მოცულობამ 2019 წელს 1 267.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0.2 პროცენტით მეტია 2018 წლის შესაბამის მაჩვენებელზე.²⁰

²⁰ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. <http://geostat.ge/>

დიაგრამა #2. (მლნ. აშშ დოლარი).



*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი # 1. პუი-ს დინამიკა საქართველოში
(მლნ. აშშ დოლარი)²¹

²¹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

წელი	I	II	III	IV	სულ
2006	145.2	318.0	332.4	375.5	1 171.2
2007	330.8	375.3	470.6	588.0	1 764.7
2008	540.1	607.7	136.1	291.3	1 575.2
2009	114.5	178.3	179.1	194.9	666.8
2010	176.1	211.5	236.8	241.2	865.6
2011	222.6	273.1	309.1	329.2	1 134.0
2012	312.4	248.0	220.5	267.3	1 048.2
2013	291.8	224.1	271.6	251.6	1 039.2
2014	331.9	217.6	749.5	538.0	1 837.0
2015	343.4	493.2	531.1	361.3	1 729.1
2016	392.2	452.1	506.5	299.5	1 650.3
2017	411.7	394.0	627.9	529.0	1 962.6
2018	323.5	403.6	367.0	171.0	1 265.2
2019*	283.6	209.8	427.4	347.0	1 267.7

*წინასწარი მონაცემები.

ცხრილი #2. პუი კომპონენტების მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)²²

	2014	2015	2016	2017	2018	2019
სულ	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
მათ შორის:						
სააქციო კაპიტალი	1 150.7	1 283.9	1 805.7	1 091.3	803.4	493.1
რეინვესტიცია [^]	322.9	158.0	311.0	616.6	437.2	612.5
სავალო ვალდებულებები ^{^^}	363.4	287.2	-466.4	254.7	24.6	162.0

[^] რეინვესტიცია - სხვაობა მოგება-ზარალსა და დივიდენდებს შორის.

^{^^} სავალო ვალდებულებებში აისახება სავაჭრო კრედიტები და სესხები.

²² საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

ცხრილი #3. ძირითადი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნები საქართველოში მიხედვით (მლნ. აშშ დოლარი)²³

	2014	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	1 837.0	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
მათ შორის:						
გაერთიანებული სამეფო	108.9	398.8	85.2	247.5	178.8	247.8
თურქეთი	72.3	74.9	220.7	256.1	49.6	236.5
ირლანდია	1.1	0.8	-0.4	0.2	3.2	132.7
აშშ	184.4	18.9	59.3	79.3	102.6	99.0
პანამა	70.7	9.5	75.9	23.8	74.6	78.1
ნიდერლანდი	420.5	164.9	77.3	354.5	208.4	52.9
რუსეთი	87.9	52.4	28.4	51.3	69.7	50.5
ჩინეთი	220.1	66.9	25.5	19.4	75.7	40.4
იაპონია	-15.0	-34.6	5.8	18.4	4.8	39.2
დანარჩენი ქვეყნები	686.2	976.6	1 072.6	912.1	497.8	290.5

*წინასწარი მონაცემები


სამი უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნის წილმა მთლიან პუი-ში, 2019 წლის წინასწარი მონაცემებით, 48.7 პროცენტი შეადგინა. ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურას განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით გვიჩვენებს სტრუქტურული დიაგრამა №3. პირველ ადგილზე გაერთიანებული სამეფო 19.5 პროცენტით, მეორეზე - თურქეთი 18.7 პროცენტით, ხოლო მესამეზე - ირლანდია 10.5 პროცენტით.²⁴

²³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

²⁴ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

დიაგრამა #3. ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2018 წელს განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცენტული განაწილება.

უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2019* წელს



25 *წინასწარი მონაცემები.

²⁵ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

ცხრილი #4. პუი ეკონომიკის სექტორების მიხედვით, (მლნ. აშშ დოლარი).²⁶

	2015	2016	2017	2018	2019*
სულ	1 729.1	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7
მათ შორის:					
საფინანსო სექტორი	202.0	123.4	307.8	270.7	261.8
ენერგეტიკა	123.7	145.0	280.6	120.8	193.9
სასტუმროები და რესტორნები	170.2	120.2	106.9	77.8	157.5
მშენებლობა	144.4	176.5	172.5	173.0	118.5
დამამუშავებელი მრეწველობა	104.7	123.4	99.3	140.0	102.2
ტრანსპორტი	607.5	575.7	475.5	203.3	71.5
სამთომოპოვებითი მრეწველობა	88.0	49.7	51.8	62.2	68.7
კავშირგაბმულობა	0.7	87.1	49.5	-40.3	45.4
დანარჩენი სექტორები	288.0	249.3	418.8	257.7	248.2


*წინასწარი მონაცემები.

სამი უმსხვილესი სექტორის წილმა (განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით) 2019 წელს 48.4 პროცენტი შეადგინა. ყველაზე დიდი მოცულობის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 261.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 20.6 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ენერგეტიკის სექტორი 193.9 მლნ. აშშ დოლარით, ხოლო მესამეზე - სასტუმროების და რესტორნების სექტორი, 157.5 მლნ. აშშ დოლარით.²⁷

²⁶ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

²⁷ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

დიაგრამა #4. ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2019 წელს განხორციელებული უმსხვილესი პუი-ს პროცენტული განაწილება.²⁸



*წინასწარი მონაცემები.

მეთოდოლოგია: პუი-ს გაანგარიშება საქართველოში 2009 წლიდან ხორციელდება „საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს“ მიხედვით. პუი-ის ზუსტი გაანგარიშების წარმოებისათვის გამოიყენება ასევე „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება“, და სსფ-ის მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოცემული „კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო“.

პირდაპირი ინვესტიციების მეშვეობით, თუ პროცესი გამჭვირვალეა, კარგად ჩანს, რა თანხები მოიზიდება ქვეყნის ეკონომიკაში, როგორ იხარჯება და რომელ სექტორებში ნაწილდება შემოსული ფული. ამდენად, უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა ქვეყნის განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორია.²⁹

²⁸ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

²⁹ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია <http://geostat.ge/>

2.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა

გლობალური ეკონომიკის ახალი გამოწვევის პირობებში იზრდება ეკონომიკური პოლიტიკის და ეკონომიკური მექანიზმების არჩევის აქტუალურობა, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ქვეყნისა და მისი ეროვნული ბიზნესის, მრეწველობის, საბანკო სექტორის, განვითარების შიგა საფუძველი და მსოფლიოში ღირსეული ადგილი. ბიზნესის მდგომარეობა, პირველ რიგში განისაზღვრება ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობით – რამდენად ძლიერია ის, რამდენად მტკიცე იქნება ეროვნული კომპანიების პოზიცია. სუსტ კრიზისულ ეკონომიკას არ შეუძლია უზრუნველყოს მძლავრი ეროვნული სამრეწველო სექტორის ფორმირება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ამიტომ ქართული ბიზნესის პოზიციების გამაგრებისათვის შიგა და მსოფლიო ბაზარზე აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის დინამიური განვითარება.

ეფექტიანი ეკონომიკური ზრდა უნდა ეყრდნობოდეს ობიექტურ მდგრად წანაპირობებს და უნდა იყოს მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი. ასევე, აუცილებელია ეკონომიკური განვითარების ეროვნული პრიორიტეტების უზრუნველყოფის მიზნით გატარდეს აქტიური პოლიტიკა სამრეწველო, საბიუჯეტო, საგადასახადო და ფულად საკრედიტო პოლიტიკასთან კავშირში. თუმცა, ისიც ნათელია, რომ საქართველოში მიმდინარე და სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტისას, ეკონომიკური ზრდა მნიშვნელოვან წილად დამოკიდებულია მსოფლიო კონიუქტურაზე და უცხოელი ინვესტორების სურვილზე, განახორციელონ ან არ განახორციელონ ეკონომიკური პროექტების დაფინანსება ჩვენს ქვეყანაში. პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანას, თავის ეკონომიკის ჩარჩოებში, აქვს უცხოური სექტორი, რომელიც შედგება უცხოურ ინვესტიციებზე დაფუძნებული საწარმოებისაგან. ეს პროცესი საქართველოშიც მიმდინარეობს. მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის პირობებში, საგარეო სფერო და

ის უზარმაზარი რესურსები, რომლებიც იმყოფება ფინანსურ ბაზარზე, იძლევა დიდ შესაძლებლობას ეკონომიკური ზრდის დაფინანსებისათვის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამცირებს რისკებს, მაგრამ უნდა მოხდეს მათი სტრუქტურის შეცვლა და მათში მეტი წილი დაიკავოს საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებულმა დარგებმა, უფრო მეტად, მრეწველობას და თანამედროვე სერვისებმა, რათა შეიქმნას ექსპორტის საკმარისი ნაკადები.³⁰

არსებობს სამი მეტად მნიშვნელოვანი მიზეზი, თუ რატომ იქნება ექსპორტის კონკურენტუნარიანობაზე მიმართული პოლიტიკა მნიშვნელოვანი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შესამცირებლად. პირველი, საქართველოს მაგალითზე, სიმცირის მიუხედავად სავაჭრო ღიაობამ მნიშვნელოვანი და დადებითი გავლენა იქონია საგადამხდელო ბალანსზე. მეორე, მიუხედავად იმისა, რომ ვალუტის რეალური კურსის ცვლილება გავლენას ახდენს სუფთა ექსპორტზე, მას ასუსტებს საფინანსო სისტემის მაღალი დოლარიზაციის ხარისხი და ფირმების დამოკიდებულება მაღალ გარე დაფინანსებაზე, ისევე, როგორც საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული დარგების შეზღუდული განვითარება. მესამე, მდგრადი კაპიტალის ნაკადები ქმნის რეალური ვალუტის კურსის ზრდის ტენდენციას, რომელიც აფერხებს კონკურენტუნარიანობას.³¹

ქვეყანა-რეცეპიენტის ეკონომიკური ზრდის შესაქმნელად უცხოური კაპიტალდაბანდებების როლის შეფასების პრობლემას დიდი ისტორია აქვს. ვ. ლეონტიევის კლასიკური დიფერენციალური მოდელის მიხედვით, საბაზისო წლის ფაქტობრივი მდგომარეობის მიუხედავად, „გარდატეხის წერტილი“ ეკონომიკური განვითარების ტემპის მიმართ არ მიიღწევა, მანამ სანამ მიმღებ ქვეყანაში უცხოური

³⁰ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი. (2014). ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი. საქართველო: კეთილდღეობის მისაღწევად

³¹ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი. (2014). ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი. საქართველო: კეთილდღეობის მისაღწევად

ინვესტიციების საშუალო წლიური ზრდის ტემპი არ იქნება მშპ-ის 5%, ხოლო შემდგომ წლებში, მუდმივად უნდა ხდებოდეს მათი მოცულობის გადიდება³².

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფით გავლენას შესაძლებელია ახდენდეს:

- 1. პოლიტიკური არასტაბილურობა.** როგორც სხვადასხვა რაოდენობრივი კვლევებიდან გამოიკვეთა, რომ პოლიტიკურ არასტაბილურობასა და ინვესტიციების მოზიდვას შორის მკვეთრად უარყოფითი კავშირი არ არსებობს. კვლევების ნაწილი ასკვნის, რომ მათ შორის კავშირი სუსტად უარყოფითია, თუმცა ქვეყნების მიხედვით ამან შესაძლებელია სხვადასხვა როლი ითამაშოს. თუ ინვესტიცია მიემართება ბუნებრივი რესურსების ათვისების მიმართულებით, შესაძლებელია ამ სფეროში მოსალოდნელმა მაღალმა უკუგებამ გადაწონოს არსებული რისკები და გააჩინოს ინვესტიციების შემოდინების სტიმული.
- 2. გადასახადები.** ეკონომიკური კვლევების და ლიტერატურის ფართო სპექტრში არ არსებობს მკვეთრად ჩამოყალიბებული ერთიანი მოსაზრება არის თუ არა მგრძობიარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საგადასახადო სტიმულების მიმართ. კვლევებში, სადაც უარყოფითი კავშირი იკვეთება, ძირითადად ეს მოგების გადასახადის და ინვესტიციებს შორის არსებული უკუკავშირია.
- 3. ინფლაცია.** ცალკეული ეკონომეტრიკული მოდელების მიხედვით, ინფლაციასა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის მნიშვნელოვანი უარყოფითი კავშირი იკვეთება. მაღალი ინფლაცია ინვესტორებისათვის წარმოადგენს ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორს და

³²Леонтьев В., Экономическое эссе. Теории, исследования, факты и политика. М. 1990

დაბალი ინფლაციის მქონე ქვეყნებში ინვესტიციები უფრო თავისუფლად შემოედინება.³³

ხშირად გამოთქვამენ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ პუი სასურველ გავლენას ახდენს კაპიტალდაბანდების პროცესზე იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი მიემართება ახალი საწარმოების მშენებლობისათვის და არა შერწყმისა და შთანთქმის განხორციელების მიზნით. ეს არის დამოკიდებული კონკრეტულ პირობებზე და მნიშვნელოვან წილად განისაზღვრება შიგა ეკონომიკური პოლიტიკით. ფირმები უცხოურ ქვეყნებში შედგენისას, ხშირად უპირატესობას შერწყმისა და შთანთქმის გზას ანიჭებენ, რამდენადაც არსებული ფირმის შემენით, უცხოური კომპანია თავის ბალანსში ღებულობს უკვე მოქმედ საწარმოს და არ არის საჭირო დაიწყოს ყველაფერი ნულიდან.

ტრადიციულ ნეოკლასიკურ ლიტერატურაში წარმოების ზრდა გრძელვადიან პერიოდში არ არის დამოკიდებული სახელმწიფო პოლიტიკის პარამეტრებზე და იცვლება მხოლოდ ტექნოლოგიური ცვლილებების და მოსახლეობის ზრდის შედეგად, რომელიც მიეკუთვნება ეკზოგენურ ფაქტორებს. ამ შემთხვევაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციის წვლილი წარმოების ზრდაში გამოვლინდება მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში.

ენდოგენური ზრდის მოდელები შეიცავს დამატებით ფაქტორებს, რომელთაც აქვთ გავლენა ადგილობრივი წარმოების მატერიალური და არამატერიალური აქტივების მოწოდებაზე და ასევე გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდაზე. ახალი ტექნოლოგიების და კვაზი-ინვესტიციების მოზიდვა (ლიცენზია, ფრანჩაიზინგი, ლიზინგი).

ენდოგენური ზრდის მოდელის სხვა უპირატესობა ნეოკლასიკური მოდელთან შედარებით არის ის ფაქტი, რომ ის გულისხმობს არა მხოლოდ ტექნოლოგიური ცვლილებების გავლენას ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ ინსტიტუციონალურ გავლენასაც. მაგალითად კარგი ინვესტიციური კლიმატი, ადამიან-კაპიტალის განვითარების

³³ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. დამოუკიდებელი ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები: მოკლე მიმოხილვა. მოძიებულია <http://pbo.parliament.ge/ge/>

სახელმწიფო პროგრამები, ინფრასტრუქტურული პროექტები პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე და ხელს უწყობს უპი-ს მოზიდვას.

საერთაშორისო სტატისტიკაში საკმარისი მონაცემები არის დაგროვლი, რათა დაწვრილებით გავაანალიზოთ უცხოურ კაპიტალზე დაფუძნებული წარმოების როლი და გამოძავლინოთ ამ სფეროში ფორმირებული კანონზომიერებანი და ტენდეციები. თუ უცხოურ სექტორში დასაქმებულთა წილს ავლენიშნავთ (L) და მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის წილს (Q), შეგვიძლია გამოვთვალოთ მისი შეფარდებითი მწარმოებლურობა, ე.ი. უცხოური სექტორის შრომის მწარმოებლურობის თანაფარდობა მწარმოებლურობასთან საშუალოდ ქვეყნების მიხედვით ე.ი. $P_g = (Q/L) 100\%$. ანალოგიურად შეგვიძლია გამოვთვალოთ ეროვნული სექტორის შეფარდებითი შრომის მწარმოებლურობა: $P_d = [(1 - Q) / (1 - L)] 100\%$. თუ შევუფარდებთ მიღებულ ციფრებს ერთმანეთს, მივიღებთ შეფარდებითი გარღვევის კოეფიციენტებს უცხოურ და ეროვნულ სექტორის შრომის მწარმოებლურობაში:

$$P = (Q/L) / [(1 - Q) / (1 - L)] 100\%.^{34}$$

გამოთვლების შედეგად, მიღებული მონაცემების საფუძველზე, შეიძლება მოვახდინოთ შემდეგის ინტერპრეტაცია: შრომის მწარმოებლურობის მიხედვით საზღვარგარეთული კომპანები საშუალოდ ორჯერ მეტად არის ეფექტიანი სამამულოზე. აღნიშნული გამოწვეულია მათი ტექნოლოგიური მიღწევებით, წარმატებულად შექმნილი ტექნოლოგიების ფლობით. მათი მფლობელები არიან მსხვილი, ყველაზე განვითარებულ და შედარებით კონკურენტუნარიანი კომპანიები, რომლებიც დამოუკიდებლად ეწევიან მეცნიერულ-კვლევით და საცდელ საკონსტრუქტურო სამუშაოებს. თანამედროვე ეკონომიკაში ძირითად მწარმოებლებად გვევლინებიან

³⁴Frischtak, Claudio R., and Richard S. Newfarmer, eds. (1993). *Transnational Corporations: Market Structure and Industrial Performance*, United Nations Library on Transnational Corporations, vol.15 (London and New York: Routledge on Behalf of the United Nation)

გლობალურად მოღვაწე კომპანიები, რომლებიც ეძებენ მიმწოდებლებს და ბაზარზე შეღწევის შესაძლებლობას.

პუი-ს, მიმღები ქვეყნის ტექნოლოგიური პროცესი შეუძლია 3 მიმართულებით წარმართოს:

1. მოახდინოს ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, რაც მიმდინარე პერიოდამდე იყო გამოყენებული ეროვნულ ეკონომიკაში და ე.ი. არის საშუალება ახალი საქონლის წარმოებისა და მოხმარებისათვის შექმნას პირობების.

2. უცხოური ინვესტიციები, ტექნოლოგიური კომპონენტებით ითხოვენ ახალი ჩვევების ფორმი-რებას ან განვითარებას, რომელიც საჭიროა ტექნოლოგიების გამოსაყენებლად.

3. სამამულო ინოვაციური საქმიანობა არის დამოკიდებული ეროვნულ ეკონომიკაში იდეების რაოდენობაზე, შესაბამისად ახალი იდეების გამოვლენა ახდენს ეროვნულ დონეზე ინოვაციური საქმიანობის გაფართოებას და ასტიმულირებს მას.

ყველა ეს თეზისი საკმაოდ დამაჯერებელია და მათ ჭეშმარიტებაში თითქმის ეჭვი არავის არ ეპარება. თუმცა, ჩემი აზრით სახელმწიფო რეგულირების პოლიტიკის შემუშავებისას, მნიშვნელობა ენიჭება წარმოებაში მიმდინარე დიფუზიური პროცესების მასშტაბისა და სიჩქარის განსაზღვრას. მართალია ტექნოლოგიების გადატანა ინდუსტრიალურად განვითარებული ქვეყნებიდან და მისი ადაპტაცია შეიძლება განვითარების საწყისი ეტაპის ინტერესებს პასუხობდეს. მაგრამ განვითარების უფრო მაღალ ეტაპზე, სიმძიმის ცენტრი უნდა გადაინაცვლოს ეროვნულ საკვლევ-საკონსტრუქტორო ბაზაზე, რაც სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის აქტიურ ფაზაზე გადასვლის აუცილებელი წინაპირობაა, მით უმეტეს, რომ აუცილებელი არ არის ინოვაციური პროექტები შეიქმნას საბაზისო ქვეყანაში, როგორც ეს იყო ადრე, როდესაც ისინი იქმნებოდა ძირითად კომპანიებში და შემდგომ გადაეცემოდა საზღვარგარეთულ ფილიალებს. კვლევითი ცენტრები ტნკ-ის მიერ იქმნება მრავალ ქვეყანაში, სადაც ამისათვის არსებობს კვალიფიციური კადრები და აუცილებელი წინაპირობა.

უცხოურ რესურსებთან ერთად, საზღვარგარეთული საწარმოები ხშირად ახდენენ მიმღები ქვეყნის შრომით რესურსების მოხმარებას. საქართველოში არის არასრული დასაქმება და მაღალი უმუშევრობის დონე, რაც მუდმივ პრობლემას წარმოადგენს, უმუშევრობაზე ბრძოლა ისეთი საშუალებებით, როგორცაა საჯარო სფეროში სამუშაო ადგილების შექმნა ხშირად ხდება უშედეგო. პუი კი, ქმნის სამუშაო ადგილებს და აქვთ შესაძლებლობა კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს საკადრო რესურსების განვითარებაში, ადგილობრივი პერსონალის გადამზადებასა და პროფესიული ცოდნის გადაცემის საშუალებით, რომელიც არ არსებობს ან არის დეფიციტი მიმღებ განვითარებად ქვეყანაში. როგორც ცნობილია პროფესიული გადამზადება, უშუალოდ სამუშაო პროცესში, ქმნის მნიშვნელოვან საგარეო ეფექტს და ამ მიზეზის გამო, უზრუნველყოფს საზოგადოებისათვის გადამზადების სასურველ დონეს.

2000-იან წლების პირველ ნახევარში გამოიკვეთა ორი მნიშვნელოვანი ტენდენცია-ქვეყანათა შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელი წლების განმავლობაში და განვითარებადი ერების მნიშვნელობის ზრდას, უცხოური ინვესტიციების დაბანდებაში. 2000-იანი წლების პირველ ნახევარში ინვესტიციების მთლიანი მოცულობა მიმართული ორივე- განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვნად გაიზარდა: ეს ტენდენცია ასახავდა ბიზნესკორპორაციების მზარდ საერთაშორისო მიმართულებას.³⁵

38 განვითარებადი ქვეყნის მაგალითზე გაკეთებული პრაქტიკული ანალიზის მიხედვით გამოიკვეთა, რომ განვითარებად ქვეყნებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მთავარი დეტერმინანტები შესაძლებელია დავაჯგუფოთ დადებითი და უარყოფითი გავლენის მიხედვით. კვლევაში გამოიკვეთა, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის ინვესტიციების მოზიდვაზე დადებით გავლენას შესაძლებელია ახდენდეს:

1. **ერთ სულ მოსახლეზე ეკონომიკური ზრდა.** მაღალი ეკონომიკური ზრდა ქმნის შედარებით უკეთ შესაძლებლობას, რომ იქ არსებული კომპანიების და საწარმოები

³⁵ შენგელია, თ. (2010). გლობალური ბიზნესი. თბილისი: გამომცემლობა "ახალი საქართველო"

მიიღებენ მაღალ ეკონომიკურ სარგებელს, ვიდრე ისეთ გარემოში სადაც ეკონომიკა მცირედით ან საერთოდ არ იზრდება. კვლევის მიხედვით ეს კავშირი პერიოდების მიხედვით სხვადასხვა სიძლიერისაა თუმცა მუდმივად დადებითი.

2. **გამართული ინფრასტრუქტურა.** ინფრასტრუქტურა თავის მხრივ ბევრ განზომილებას (გზები პორტები რკინიგზა და ა.ს) ფარავს განუვითარებელი ინფრასტრუქტურა შესაძლებელია დადებითადაც კი მოქმედებდეს ამ სფეროში განსახორციელებლ ინვესტიციებს ზრდიდეს რა კონკრეტულად ამ სფეროში დაბანდების მომგებიანობას, მაგრამ ძირითადად კარგად განვითარებული ინფრასტრუქტურა ზრდის ეკონომიკური ზრდის პოტენციალს, საინვეტიციო შესაძლებლობას და მიმზიდველობას.

3. **ეკონომიკის გახსნილობა.** ეკონომიკის გახსნილობა ძირითადად იზომება, როგორც საგარეო ვაჭრობის წილი მშპ-სთან მიმართებით და მისი გავლენა ინვესტიციებზე თვით ინვესტიციების ბუნებაზეა დამოკიდებული. თუ ეს ინვესტიცია ბაზრის ძიებაზეა ორიენტირებული და ადგილობრივი ბაზრის ათვისება აქვს განზრახული, სავაჭრო შეზღუდვებმა და შიდა სუბსიდიებმა შესაძლოა დადებითად იმოქმედოს მათზე, თუმცა ძირითადად განვითარებად ქვეყნებში ინვესტიციები მიედინება ე.წ. ვაჭრობად სექტორებში და კვლევების დიდი უმრავლესობა ასკვნის, რომ ღია ეკონომიკა ხელს უწყობს უცხოური ინვესტიციების მოძიებას.

4. **მუშახელის ფასი და მწარმოებლურობა.** მუშახელის ფასსა და უცხოურ ინვესტიციებს შორის ძლიერი პირდაპირი კავშირი ხშირად არ იკვეთება. თეორიის მიხედვით იაფი მუშახელი ძალიან მიმზიდველი უნდა იყოს უცხოური ინვესტიციისათვის, თუმცა ეს კავშირი ძირითად ახასიათებს ინვესტიციებს, რომლებიც ე.წ. სამუშაოძალა-ინტენსიური სექტორისაკენ მიემართება. აღსანიშნავია, რომ ძალიან იაფი მუშახელი ასევე დაბალი უნარებით და მწარმოებლურობით ხასიათდება, ამიტომ გადაწყვეტილების მიღებისას ფასთან ერთად მუშახელის პროდუქტიულობასაც აქვს მნიშვნელობა.

5. **ბაზრის სიდიდე.** თითქმის ყველა თეორიული თუ ეკონომეტრიკული კვლევის მიხედვით ბაზრის სიდიდეს, (რომელიც როგორც მშპ ან მშპ ერთ სულ მოსახლეზე

გაიანგარიშება) და უცხოური ინვესტიციების შემოდინებას შორის დადებითი კავშირი არსებობს. ინვესტორებს სტიმული აქვთ შევიდნენ შედარებით დიდ ბაზრებზე, სადაც საკუთარი წარმოების გაფართოების საშუალება ექნებათ და რომელი ბაზრებიც შედარებით მაღალი მსყიდველობითი უნარით ხასიათდება.³⁶

ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენა პუი-ს შესახებ არის ის, რომ მათ გააჩნიათ შიგა ინვესტიციების „ჩათრევის“ დიდი შესაძლებლობა. მოცემული ეფექტი მოქმედებს შემდეგი მიმართულებით: სასაქონლო და ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციის სტიმულირებისა და მიმღებ ქვეყანაში ტექნიკური ეფექტიანობის გადიდების საშუალებით. ტნკ-ებს შეუძლიათ შიგა ფირმების გააქტიურება. ეს ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც აღწევენ განვითარებადი ქვეყნების ადგილობრივ ბაზარზე, სადაც უკვე საქმიანობას ეწევა სამამულო ფირმები. მსხვილ განვითარებად ქვეყნებშიც კი, შიგა ბაზარი როგორც წესი არ არის დიდი და მასზე მოქმედებს პირობები, რომელიც განაპირობებს ოლიგოპოლის ან მონოპოლიის განვითარებას. ასეთ პირობებში, ადგილობრივ ბაზარზე უცხოური ფირმების შეღწევა, რომლებიც ფლობენ თანამედროვე ტექნოლოგიებს, შეუძლია უზრუნველყოს სამამულო ფირმების აქტიურობა, უზიძგოს მათ ტექნოლოგიური ეფექტიანობის გადიდებისაკენ. ემპირიული ანალიზი ადასტურებს, რომ ტნკ-ების შეღწევამ რიგი ქვეყნების ზოგიერთ დარგში დადებითი გავლენა მოახდინა ადგილობრივი ფირმების მწარმოებლურობაზე.³⁷

³⁶ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. დამოუკიდებელი ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები: მოკლე მიმოხილვა. მოძიებულია <http://pbo.parliament.ge/ge/>

³⁷Enderwick, Peter, ed. (1993). Transnational Corporations, vol1 16 (London and New York, Routledge on Behalf of the United Nation)

თავი III. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამოყენების გაუმჯობესების გზები საქართველოში.

3.1. სახელმწიფოს როლი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაში

ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლების პრობლემა უკავშირდება კაპიტალის ეფექტურად დაბანდებას მისი მატების მიზნით, ანუ ინვესტირებას. ბაზრის პირობებში ინვესტირების შესაძლებლობები საკმაოდ ბევრია. ყველა საწარმო მეტ-ნაკლებადაა დაკავშირებული საინვესტიციო საქმიანობასთან, მაგრამ ინვესტირების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებას სხვადასხვა ფაქტორი ართულებს, მაგალითად, ინვესტირების ტიპი, საინვესტიციო პროექტის ღირებულება, ფინანსური რესურსების შეზღუდულობა, რისკი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირება სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე და სხვა.

ძირითადი ფორმა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების საერთაშორისო დონეზე არის საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება. მათში შეთანხმებულია და დამტკიცებულია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ზომები შესაბამისი ქვეყნებს შორის.

საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების მონაწილეებად გამოდიან მთავრობები და იშვიათად მთავრობათაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციები, მაგალითად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (World Trade Organization (WTO)), ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (Organization for Economic Co-operation and Development — OECD), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (International Labour Organization) და სხვა.

მსოფლიოში შემუშავებულია უნივერსალური ზომები საერთაშორისო ორგანიზაციების და ეროვნული სახელმწიფოების მიერ, რომლებიც გამოიყენება უცხოური კაპიტალის მიზიდვის მიზნით:

- ✓ საგადასახადო სტიმულები;
- ✓ ფინანსური სტიმულები;
- ✓ არაფინანსური სტიმულები.

საერთაშორისო კვლევების მიხედვით, როგორც განვითარებადი და განვითარებული ქვეყნებისათვის ეკონომიკაში დანაზოგისა ნორმასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დადებითი კავშირი არსებობს. მაღალი დანაზოგები ნიშნავს მაღალ ინვესტიციებს და შესაბამისად გაზრდილ ეკონომიკურ აქტივობას, თუმცა განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისათვის შიდა დანაზოგების მაღალი ნორმის მიღწევა ყოველთვის დიდი გამოწვევაა. ასეთი ქვეყნებისათვის საგარეო წყაროებზე ხელმისაწვდომობა და უცხოური კაპიტალის მოზიდვა ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. როგორც წესი, განვითარებადი ქვეყნები შიდა ინვესტიციების ნაკლოვანებას მიმდინარე ანგარიშის დეფიციტით აკომპენსირებენ და ხშირად ქვეყნები, რომლებსაც მაღალი ეკონომიკური ზრდა აქვთ, ასევე მაღალი მიმდინარე ანგარიშის დეფიციტით ხასიათდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიმდინარე ანგარიშის ბალანსის კლასიფიკაციით (BOP5) მიმდინარე ანგარიშის დაფინანსების მთავარი წყაროებია პორტფელური, პირდაპირი და სხვა ინვესტიციები.³⁸ აღსანიშნავია, რომ „ბალანსის“ ბუნებიდან და ორმაგი ჩაწერის პრინციპიდან გამომდინარე, დეფიციტი ყოველთვის დაფინანსებულია ინვესტიციური ნაკადებით. იმის მიუხედავად თუ რა იყო საგარეო ტრანზაქციის თავდაპირველი მიზანი, იგი აისახება როგორც მიმდინარე ანგარიშის, ისე დაფინანსების მუხლებში ან ამ მუხლებში ცალ-ცალკე ორჯერ ისე, რომ ბალანსი ყოველთვის შენარჩუნებული იქნება. ამასთან, დაფინანსების წყაროებიდან ყველაზე მეტი მერყეობით ხასიათდება პორტფელური და სხვა ინვესტიციები, ხოლო პირდაპირი ინვესტიციები შედარებით უფრო მეტი სიმყარით გამოირჩევა და მნიშვნელოვანი როლი აკისრია.³⁹

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ამოცანების შესრულება: უზრუნველყოს პოლიტიკური სტაბილიზაცია, სიმშვიდე, კონკურენტული გარემო: ვალუტის სიმტკიცის

³⁸ International monetary fund. Retrived from <http://www.imf.org>

³⁹ საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. დამოუკიდებელი ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები: მოკლე მიმოხილვა. მოძიებულია <http://pbo.parliament.ge/ge/>

დაცვა, ინფლაციის მოთოკვა; ბიზნესის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ხელსაყრელი სოციალური გარემო- ბიზნესის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების მსოფლმეხდველობას.⁴⁰

როდესაც სახელმწიფო წარმატებით ასრულებს ამ ამოცანებს, მისი არსებობა ბაზარზე, ხშირად რთულად შესამჩნევია. როდესაც უცხოელი ინვესტორები ახდენენ ინვესტირებას უცხო ქვეყანაში, არსებობს იმის ალბათობა, რომ მათ მიმართ გამოიყენებენ არაკეთილ და არამეგობრულ მოქმედებებს. რაც ხდება იმიტომ, რომ ის უცხოელია. საერთაშორისო ხელშეკრულებები და საერთაშორისო სამართლის ნორმები, საბოლოო ჯამში არ დაუშვებს, რომ განხორციელდეს უცხოელ ინვესტორთა დისკრიმინაცია. სახელმწიფოს მიერ ეროვნულ ბაზარზე კონკურენტული ბრძოლისათვის სამართლიანი პირობების უზრუნველყოფა, არსებითად თანაბარი ზომით ეხება როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორების ინტერესებს. ამრიგად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მარეგლამენტირებელი სპეციალური სამართლებრივი ნორმების საერთაშორისო შეთანხმებების, ხელშეკრულებების, დაცვის უზრუნველყოფა აუცილებელია.

სახელმწიფოს საინვესტიციო საქმიანობის ფორმები და მეთოდები სხვადასხვაგვარია და ინვესტირების მიმართულებასა და მიზნებზეა დამოკიდებული. სახელმწიფოს აქვს მარეგულირებელი ქმედებები ინვესტიციებზე სახელმწიფოებრივი საინვესტიციო პროგრამების გამოყენებით, შემდეგ კი- სახელმწიფოებრივი ინვესტიციების პირდაპირი მართვის მეშვეობით. საგადასახადო სისტემა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რეგულირების თვალსაზრისით. სახელმწიფო ახდენს საგადასახადო განაკვეთების შემოღებას და ახდენს შეღავათების დიფერენცირებას.

საერთაშორისო შეთანხმებებს შორის, რომლებიც ეხება ინვესტიციების რეგულირებას, შედარებით გავრცელებულია ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება ინვესტიციების წახალისებითა და ურთიერთ დაცვის შესახებ, შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. მრავალმხრივი საერთაშორისო შეთანხმებებიდან

⁴⁰სამადაშვილი, უ. (2007). ბიზნესის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი"

აღსანიშნავია 1985 წლის სეულის კონვენცია ინვესტიციების გარანტიების მრავალმხრივი სააგენტოს დაარსების შესახებ, რომელიც ხელმოწერილი და რატიფიცირებული იქნა საქართველოს მიერ და 1965 წლის ვაშინგტონის კონვენცია, კაპიტალის რეციფიენტი სახელმწიფოებს და კერძო უცხოური ინვესტორებს შორს საინვესტიციო დავების მოწესრიგების შესახებ.

საქართველოსთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიღწევაა 2016 წლის 1 ივლისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება. საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას.⁴¹

2016-2020 სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის მიხედვით, ექსპორტის გაზრდის, ხელშეწყობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა კომერციული ატაშეების ინსტიტუტის პრაქტიკაში დანერგვისათვის. საწყის ეტაპზე კომერციული ატაშეების ინსტიტუტის დანერგვის თვალსაზრისით აქცენტი კეთდება ექვს სტრატეგიულად და ეკონომიკურად მნიშვნელოვანი მიმართულებით, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: თურქეთი, ჩინეთი, აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი და სპარსეთის ყურის ქვეყნები.⁴²

სტაბილური საინვესტიციო გარემო ჩვენს ქვეყანაში პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის გაზრდას განაპირობებს. საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობა მიმართულია მეტად მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაზე.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები უზრუნველყოფენ ძირითადი სამუშაო ადგილების იმპორტს საქართველოში, აქედან გამომდინარე მთავრობის ამოცანა არის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციებმა მოიკვას მშპ-ს მინიმუმ 6%-ს, ორჯერ უფრო მეტს,

⁴¹ შენგელია, თ. (2010). გლობალური ბიზნესი. თბილისი: გამომცემლობა "ახალი საქართველო"

⁴² საქართველოს მთავრობა. (2016-2020). სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში. მოძიებულია <http://gov.ge/>

ვიდრე ბოლო სამი წლის სამუალო მსოფლიო საზღვრებს მიღმა ინვესტიციების მსოფლიო მშპ-სთან შეფარდება (დაახ. 3%)⁴³.

საქართველოს სახელმწიფო საინვესტიციო სააგენტოს მიხედვით არსებობს ათი მოტივი, თუ რატომ უნდა განხორციელდეს ფულის დაბანდება საქართველოში :

1. სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა.
2. სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა.
3. საზღვარგარეთთან თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობები.
4. დაბალი საგადასახადო პროცენტი.
5. ლიცენზიებისა და მოვალეობების განთავისუფლების მარტივი გზა.
6. ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება.
7. სამეწარმეო საქმიანობის განვითარებისათვის მიმზიდველი გარემო.
8. კომპეტენტური სახელფასო დონე და კვალიფიკაციის საკმაოდ მაღალი დონე.
9. დივერსიფიცირებული საინვესტიციო სექტორები.
10. მსოფლიო ბანკის წინასწარი განჭვრეტით, ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი განვითარება.

საქართველოს სამთავრობო 2019-2020 პროგრამის მიხედვით:

- მთავრობის მიზანია აშშ-ის შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გაგრძელება სავაჭრო, ეკონომიკური და საინვესტიციო ურთიერთობების გაღრმავების მიზნით.
- მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის სტრუქტურულ გაჯანსაღებაზე, ბიზნეს და საინვესტიციო გარემოს შემდგომ განვითარებაზე.
- გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის პროცესი. გამოთავისუფლებული სახსრები მოხმარდება სახელმწიფო ინვესტიციების ზრდას.
- მთავრობის ვალის აღება განხორციელდება გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი საინვესტიციო პროექტების დაფინანსებისათვის.

⁴³საქართველოს სტრატეგიული განვითარების "ათპუნქტიანი გეგმა"- მოდერნიზაციისა და დასაქმებისათვის

- დაინერგება საინვესტიციო პროექტების მართვის ერთიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს საინვესტიციო პროექტების და მათზე მიმართული სახსრების მაქსიმალურ ეფექტურობასა და ეფექტიანობას.⁴⁴

საქართველოს მთავრობის მიერ სწორი სახელმწიფო რეგულირებამ საინვესტიციო სფეროში მოგვცა ეკონომიკის მაღალი განვითარების ეფექტი. მსოფლიო ბანკის კვლევით⁴⁵ მან მე-16 პოზიციიდან მე-11 პოზიციაზე გადაინაცვლა, მიუხედავად სხვადასხვა სექტორებში არსებული რეგრესიისა. ჩვენი ქვეყანა „economic freedom“ (ეკონომიკური თავისუფლების) სიაში მე-12 ადგილზე იმყოფება, „Heritage Foundation“-ის კვლევის მიხედვით.⁴⁶

⁴⁴ საქართველოს მთავრობა. (2019-2020). სამთავრობო პროგრამა. მოძიებულია: <http://www.gov.ge/>

⁴⁵The World Bank. Doing business measuring business regulations. Retrived from <http://www.doingbusiness.org>

⁴⁶The Heritage Foundation. 2020 index of economic freedom. Retrived from <http://www.heritage.org/index/Ranking.aspx>

3.2. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების ძირითადი მიმართულებანი საქართველოში.

ბიზნესის საერთაშორისო სტანდარტების დონეზე სამართლებრივი უზრუნველყოფისათვის აუცილებელია ბიზნეს საქმიანობის მარეგულირებელი ისეთი კანონების და კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რომლებიც ინიციატივას წაახალისებს. კანონი უნდა დაიცვას როგორც კერძო საკუთრება, ასევე მესაკუთრე. ასევე საჭიროა საიმედო გარანტიები, რომ სახელმწიფო არასოდეს მიმართავს მესაკუთრის მიმართ ძალადობრივ ქმედებებს და კონფისკაციას და იმ შემთხვევაში, თუ მაინც მოხდება მსგავსი, სახელმწიფომ უნდა მოახდინოს ზარალის კომპენსაცია.⁴⁷

დღეისათვის საქართველოში ინვესტიციების მარეგულირებელი რამდენიმე კანონი მოქმედებს. თუმცა უმეტესი მათგანი მორალურად მოძველებულია და არსებით გადახედვას საჭიროებს. ამას ადასტურებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაც - ე. წ. „საქართველო 2020“. განვიხილოთ დღეისათვის არსებული კანონმდებლობა:

1. საქართველოს პარლამენტის 1995 წლის დადგენილება „უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შესახებ“.

აღნიშნული კანონი, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, ქართულ კანონმდებლობაში პირველი არ იყო, თუმცა სწორედ მან შეუწყო ხელი მომდევნო წლებში უცხოური ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში.

1995 წლის კანონმა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოაცხადა „უცხოური ინვესტიციების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი და ყველა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, რომელიც ამ კანონს ეწინააღმდეგება.⁴⁸

1996 წლის კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. ეს კანონი არეგულირებს საქართველოში საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობასა და ინვესტიციის დაცვას გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს. კანონის მიზანია დაადგინოს ისეთი სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში

⁴⁷ სამადაშვილი, უ. (2007). ბიზნესის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი"

⁴⁸ სიხარულიძე, დ. და ჭარაია, ვ. (2018) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“

ინვესტიციების განხორციელებას. კანონი განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ისე ადგილობრივი ინვესტიციების განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს.⁴⁹

აღნიშნული კანონის განმარტებით „ინვესტიციად მიიჩნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში“. ასეთ ფასეულობად ან უფლებად მიიჩნევა: „ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები; ბ) უძრავი და მოძრავი ქონება - მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა; გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის, კომპენსაცია), პატენტი, ლიცენზია, „ნოუ-ჰაუ“, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა; დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება“. ასევე ამავე კანონის ინვესტიციის ხელშეუხებლობის მუხლის მიხედვით: „ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით“.⁵⁰

2. 2012 წლის კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“.

მოცემული კანონის ძირითადი მიზანი იყო სახელმწიფო საწარმოო-საინვესტიციო პოლიტიკის დარეგულირება. ამ კანონით დადგენილი წესები ვრცელდება სახელმწიფოს მონაწილეობით შემუშავებულ ყველა სახის საწარმოო-საინვესტიციო პროგრამაზე და მათ განხორციელებაში მონაწილე სუბიექტებზე. მომდევნო წლებში აღნიშნული კანონი მრავალჯერ შეიცვალა და ისეთი ახალი ჩანართები გაჩნდა, როგორებიცაა:

ა) კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება (24.05.2006 3087);

ბ) მცირე ან საშუალო საწარმოში დასაქმებულთა რაოდენობა (24.05.2006 N 3087);

გ) 2012 წლის 5 ივლისს ცვლილებები შევიდა საინვესტიციო სააგენტოს მენეჯმენტის ნაწილში (დირექტორის დანიშვნა/გათავისუფლება; სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები; სააგენტოს ბიუჯეტის დადგენის წესი და სხვ.);

⁴⁹ ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა. (2012). კონსტიტუციის 42-ე მუხლი

⁵⁰ საქართველოს კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. (1996). მოძიებულია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33304?publication=15>

დ) 2011 წლის 22 მარტის ცვლილებებით (N 4469), სააგენტო ანგარიშვალდებული გახდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წინაშე, ასევე, ლიკვიდაციის შემთხვევაში, მისი ქონებაც მოცემულ სამინისტროს უბრუნდება;

ე) 2012 წლის 5 ივლისის N 6627 დადგენილებით დარეგულირდა სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა.⁵¹

3. 2006 წლის კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“.

კანონის მიზნებს წარმოადგენს: ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით. კანონის მე-4 მუხლის „ინვესტორის უფლებები“-ს მიხედვით ინვესტორს აქვს უფლება, მოითხოვოს: ა) ნებისმიერი ლიცენზიის/ნებართვის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მეშვეობით; ბ) ქონების შეძენა და მასთან დაკავშირებული ყველა პროცედურის განხორციელება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აწარმოე საქართველოში მეშვეობით; გ) მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება მისთვის ლიცენზიის/ნებართვის; დ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით.

ასევე, ამავე კანონის მიხედვით ინვესტორს აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ განხორციელებული ინვესტიციისათვის განსაკუთრებული ინვესტიციის სტატუსის მინიჭება, თუ ის გეგმავს, განახორციელოს ინვესტიცია, რომლის საერთო რაოდენობა მეტია 8 მილიონ ლარზე ან რომელიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.⁵²

4. 2013 წლის კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“.

მოცემული კანონის რეგულირების სფეროს მიეკუთვნება: საინვესტიციო ფონდების სახეების განმარტება, მათი შექმნის და საქმიანობის განსაზღვრა. ხოლო, რეგულირებადი საინვესტიციო ფონდების სახეობები შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) საპაიო საინვესტიციო ფონდი.

⁵¹ სიხარულიძე, დ. და ჭარაია, ვ. (2018) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“

⁵² საქართველოს კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ“. (2006). მოძიებულია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/24076?publication=8>

ბ) გათვითცნობიერებულ (გამოცდილ) ინვესტორთა საინვესტიციო ფონდი (გისფ);

გ) სააქციო საინვესტიციო ფონდი (მათ შორის, ვენჩურული კაპიტალის საინვესტიციო ფონდი ან კერძო სააქციო ფონდი);

დ) სხვა სახის საინვესტიციო ფონდები, რომლებიც რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

ამავე კანონის თანახმად, საინვესტიციო ფონდი არ არის: ბანკი, სადაზღვევო კომპანია, საბროკერო კომპანია, საპენსიო სქემა, სამრეწველო ან/და საფინანსო კომპანია, ჰოლდინგი.⁵³

მოცემული კანონების გარდა არსებობს ისეთი საბაზისო კანონმდებლობაც, რომელიც ინვესტიციებს სხვადასხვა მიმართულებით არეგულირებს: საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს საგადასახადო კოდექსი; საქართველოს შრომის კოდექსი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსი; საქართველოს კანონები: თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ; მეწარმეობის შესახებ; უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ; გაკოტრების კანონმდებლობა და მრავალი სხვა.⁵⁴

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე- ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობისთვის პრიორიტეტულია გრძელვადიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. გრძელვადიან საინვესტიციო რესურსებზე ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, საჭიროა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება განაპირობებს: ა) ინვესტიციების ზრდას, ბ) ფინანსური რესურსების დივერსიფიკაციას, გ) მათი ვადიანობის ზრდას და დ) ცოდნის და ტექნოლოგიების განვითარება/გაფართოებას. ამასთან, დადგენილებაში ნათქვამია, რომ ქვეყნის საგარეო პოზიციების მდგრადობის მიზნით საქართველოს მთავრობა მოახდენს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და დონორების დაფინანსებას. ასევე, წახალისებს ისეთი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინებას, რომელთა მთავარი ამოცანა მოწინავე ტექნოლოგიების შემოტანა-დანერგვა, განსაკუთრებით კი გარემოს დაცვაზე

⁵³ საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“. (2013). მოძიებულია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1981090?publication=5>

⁵⁴ სიხარულიძე, დ. და ჭარაია, ვ. (2018) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“

ორიენტირებული რესურსდამზოგავი ტექნოლოგიების დანერგვა და მწვანე ეკონომიკის განვითარება იქნება.⁵⁵

შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ გარკვეულ წარმატებებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით უკვე მიაღწია, თუმცა, მიღწეული არასაკმარისია და საჭიროა კიდევ უფრო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებაზე ზრუნვა, რომელიც ინოვაციური და ცოდნაზე დაფუძნებული პროდუქციის წარმოებას და, შესაბამისად, საქართველოს გრძელვადიან განვითარებას შეუწყობს ხელს.⁵⁶

⁵⁵ საქართველოს მთავრობის დადგენილება N400 (2014) ქ. თბილისი. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის „საქართველო 2020“ დამტკიცებისა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე

⁵⁶ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკ.და ბიზნესის ფაკ. საერთაშორისო ბიზნესის კათედრა. (2016). ბიზნესის ტექნოლოგიური გარემო საქართველოში და ექსპორტის კონკურენტუნარიანობა

დასკვნა

კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა და ქვეყნებს შორის მისი აქტიური მიგრაცია გვევლინება თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად და ფორმად.

საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საინვესტიციო კლიმატის გარკვეული გაუმჯობესების მიმართულებით. მიუხედავად ამის, კვლავ რჩება ბევრი სფერო, რომლებსაც ყურადღების მიქცევა სჭირდება, ეს განსაკუთრებით ეხება ეფექტიანი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, ბიზნესთან დაკავშირებული ადმინისტრაციების (საგადასახადო, საბაჟო და სხვა ინსპექციები) რეფორმირებას.

ინვესტიციები არის პირდაპირი იმ შემთხვევაში, როდესაც ინვესტორის საკუთრების წილი საკმარისია კომპანიაზე კონტროლის დაწესებისათვის. ამისგან განსხვავებით, დაბანდებები რომელსაც ინვესტორისათვის მოაქვს შემოსავალი, მაგრამ არ აძლევს კომპანიაზე კონტროლის უფლებას, როგორც წესი, არის პორტფელური.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მრავალ განვითარებად ქვეყანაში ვაჭრობა დადებით გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს განპირობებულია ორი მნიშვნელოვანი მიზეზით: მრავალ განვითარებად ქვეყანას აქვს შედარებით მცირე შიგა ბაზარი მოსახლეობის ერთ სულზე დაბალი შემოსავლის ან მოსახლეობის სიმცირის გამო. მეორე მიზეზია ის, რომ მრავალ განვითარებად ქვეყანაში კაპიტალდაბანდებების და შრომის მწარმოებლურობის ზრდა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია წარმოების საშუალებებსა და ტექნოლოგიების იმპორტზე. ეს კი ნიშნავს, რომ ინვესტიციების და ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა საბოლოოდ დამოკიდებულია უცხოური ვალუტის მობილიზების შესაძლებლობებზე. კაპიტალდაბანდებების მდგრადი ზრდისა და შრომის მწარმოებლურობის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის საჭიროა ექსპორტის განუხრელი ზრდა. ამ მხრივ კი სახელმწიფომ უნდა გაატაროს შემდეგი ღონისძიებები:

1. აუცილებელია ხელი შეუწყოს შიგადარგობრივი ვაჭრობის განვითარებას ;

2. დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საქართველოს ჩართვას საწარმოო ინტეგრაციულ პროცესებში. აქ ძალზე პერსპექტიულია კოოპერაციული კავშირების აღდგენა, გამყარება და ამ კავშირების დივერსიფიკაცია. ამავე დროს მაქსიმალური ძალისხმევაა საჭირო მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოებთან კოოპერაციული კავშირების დამყარებისათვის, განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში, ვინაიდან გაცილებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური ურთიერთობები განვითარებულ ქვეყნებთან. ვითარების ინოვაციურ ტიპს, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს როლის ზრდას ინვესტიციური პოლიტიკის გატარებაში. მაღალგანვითარებული ქვეყნები თავიანთ თავზე იღებენ ისეთი დარგების დაფინანსებას, როგორცაა: ფუნდამენტური მეცნიერება და მაღალრისკიანი გამოყენებითი კვლევები, სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება, ახალი ცოდნის გავრცელება, მოსახლეობის განათლება. სწორედ წარმოების აქტიური ინვესტირება (განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნოლოგიური დანიშნულებისა), ინოვაციური და სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობა აყალიბებს მატერიალურ წინაპირობებს ეკონომიკური ზრდისათვის.⁵⁷ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და წარმოებრივ-ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის დაძლევა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავებით არის შესაძლებელი. თუმცა, მათი განვითარების შესაძლებლობები ყველა მიმართულებებით, მათ შორის ვაჭრობის, სასესხო კაპიტალის მოძრაობისა და პირდაპირი ინვესტიციების სფეროში, შეზღუდულია. სწორედ მსგავსი ინტეგრაციული კავშირები იზიდავს ბაზრის ათვისებაზე ორიენტირებულ უცხოურ ინვესტიციებს.

3. აუცილებელია ხელი შეუწყოს ექსპორტის გადამამუშავებელი ზონების ფორმირებას, ვინაიდან თავისუფალი ვაჭრობის უპირატესობა, რომელიც იქმნება ამ ზონებში, სპეციალურად მიმართულია უცხოური (სამამულო) ინვესტიციების მოსაზიდად.

⁵⁷ ქოქიაური, ლ. (2009). ბიზნესი და კანონმდებლობა. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. №1

4. იმისათვის, რომ ინვესტიციები მოვიდნენ დიდი ხნით და დიდი მოცულობით, საჭიროა მაღალშემოსავლიანი პროექტები, პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა და ქვეყნის საინვესტიციო კლიმატის ცვლილებების პროგნოზირება.

5. ინვესტორების მოზიდვისათვის აუცილებელია მიზანმიმართული მასტიმულირებელი ზომები. ე.ი. აუცილებელია შევიმუშავოთ სპეციალური პუი-ს სტრატეგია.

უცხოელი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ტნკ-ები ხშირად მოქმედებენ არასაკმარისი ინფორმაციის პირობებში და შედეგად, ინვესტირების გადაწყვეტილების მიღების პროცესი ექვემდებარება სხვადასხვა სახის ზემოქმედებას და სუბიექტივიზმს. ამიტომაც, საერთო ეკონომიკური თანაბარი პირობებისას, ტნკ-თვის მიმზიდველია ის ქვეყნები, რომლის შესახებაც ისინი ფლობენ ინფორმაციას, განსაკუთრებით დადებითი ხასიათის. ამგვარად, პუი ინფრასტრუქტურის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს, უცხოელი ინვესტორებისათვის ინფორმაციული სისტემა.

ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვის გარდა, რაც ბოლო წლებში არა ერთი და ორი სფეროს ლიბერალიზაციაში გამოვლინდა, საქართველომ ინვესტიციების ხელშეწყობის უფრო აქტიური პოლიტიკა უნდა გაატაროს, რათა განხორციელებული რეფორმების შედეგად მაღალხარისხიანი ინვესტიციები მიიღოს. მიუხედავად იმისა, რომ საინვესტიციო პოლიტიკა ევროპული დირექტივებით არ არის განსახდვრული, წარმატება ინვესტიციების მოზიდვის საქმეში, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ორიენტირი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბიზნეს სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა. (2012). კონსტიტუციის 42-ე მუხლი.
2. მენქიუ, გ. (2008). ეკონომიკის პრინციპები. თბილისი.
3. მსოფლიო ბანკის დოკუმენტი. (2014). ქვეყნის ეკონომიკური მემორანდუმი. საქართველო: კეთილდღეობის მისაღწევად.
4. სამადაშვილი, უ. (2007). ბიზნესის საფუძვლები. თბილისი: გამომცემლობა "უნივერსალი".
5. საქართველოს მთავრობა. (2016-2020). სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიში. მოძიებულია <http://gov.ge/>
6. საქართველოს მთავრობა. (2019-2020). სამთავრობო პროგრამა. მოძიებულია: <http://gov.ge/>
7. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. ანალიზი სახელმწიფო ფინანსების მდგრადობისთვის. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი განმსაზღვრელი ფაქტორები: მოკლე მიმოხილვა. მოძიებულია: <http://pbo.parliament.ge/ge/>
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. მოძიებულია: <http://geostat.ge/>
9. სიხარულიძე, დ. და ჭარაია, ვ. (2018) უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“.

10. ქოქიაური, ლ. (2009). ბიზნესი და კანონმდებლობა. საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“. №1.
11. შენგელია, თ. (2010). გლობალური ბიზნესი. თბილისი: გამომცემლობა "ახალი საქართველო".
12. ჯოლია. გ, (2015). საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბილისი: ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი.
13. Corporate finance institute. Retrived from <https://corporatefinanceinstitute.com/>
14. Denisia.V. (2010). European journal of interdisciplinary studies. Foreign direct investment theories: an overview of the main FDI theories.
15. International monetary fund. Retrived from <http://www.imf.org>
16. The Heritage Foundation. 2020 index of economic freedom. Retrived from <http://www.heritage.org/index/Ranking.aspx>
17. The World Bank. Doing business measuring business regulations. Retrived from <http://www.doingbusiness.org>
18. Гриффин Р., Пастей М. (2006). Международный бизнес. 4-е изд. / Пер. с англ. под ред. А. Г. Медведева. СПб.: Питер.
19. Зубченко, Л. (2001). Международное движение капитала в современных условиях // Экономист. №66.
20. Мозиас, П. (2002). Прямые инвестиции. Современные тенденции // МЭиМО. №1.